# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 23 მაისი. 2022 წ. №64 (9402) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


## მოსკოვი „მტრების“ ალყაში...



მიხეილ კასიანოვი:

## „კვაზისსრკ-ის ფეტიში პუტინის რეჟიმს დაანგრევს – იმედია, მხოლოდ მას და არა რუსეთს“...

8

კახა გოგოლაშვილი:

## ყველა იხდის ამ ომის საფასურს: რუსეთიც, უკრაინაც, 8 დასავლეთიც...

## პუტინს ებრაული ნარკოკარტელის კოკაინის 1990-იანების სკანდალის ახალი დეტალები ამოუტივტივდა

2

## თუ მიშა და ნიკა თავისუფალი არ იქნება, გამწყდარა მთელი საქართველო!

## თავისუფლება მიშნიკს!

3







## დაჭაობებული წუმპის-ტყაოსანი

3



კონსტანტინე გამსახურდია:

## ერეკლე მეფის შესახებ ამდენი ყაყანი ეფუძნება ისტორიის, ასევე 1783 წლის ზაფხულზე დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების ელემენტარულ არცოდნას

2

## სტუდენტმა რეჟისორმა დავით თარბამ „წმინდა ანტუანის სასწაული“ დადგა





5

№64. ორშაბათი, 23 მაისი, 2022 წელი.




# ივანიშვილი CREDIT SUISSE-ს ამჯერად შვეიცარიული სასამართლო სისტემის გამოყენებაში ადანაშაულებს

**შვეიცარიული ბანკის მხრიდან დაზარალებული ბენეფიციარების ინტერესების დამცველმა ჯგუფმა CS Victims-მა საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის სახელით 18 მაისს მორიგი განცხადება გაავრცელა და Credit Suisse ამჯერად შვეიცარიული სასამართლო სისტემის გამოყენებაში დაადანაშაულა.**

CS Victims აცხადებს, რომ „ბანკი იყენებს შვეიცარიის სასამართლო სისტემას, რათა თავიდან აიცილოს ივანიშვილისთვის თანხის დაბრუნების პასუხისმგებლობა“:

**„სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში შვეიცარიის პროკურორმაც კი დაადასტურა სასამართლოს გადაწყვეტილება და საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ Credit Suisse ვალდებულია დაუბრუნოს დაზარალებულ კლიენტს თაღლითობით მიღებული თანხა, თუმცა ბანკმა გამოიყენა სასამართლო, რათა თავიდან აიცილოს მისი სრული გადახდა. Credit Suisse, როგორც ჩანს, დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და აიღო ივანიშვილისთვის თანხის დაბრუნების ვალდებულება, მაგრამ დაამატა შემდეგი პირობა: “როდესაც ბანკი დაიბრუნებს ამ ფულს მესამე პირებისგან“.**

განცხადების მიხედვით, ამ პირობის დამატებამ მთელი საბანკო პრაქტიკა და წესები თავდაყირა დააყენა.

**„ნებისმიერი სასამართლო, თუნდაც განვითარებადი სახელმწიფოს სასამართლო, მკაფიოდ აცხადებს, რომ ბანკის უმთავრესი ვალდებულების შესრულება (უშუალოდ ბანკიდან მოპარული თანხის დაზარალებული კლიენტისთვის დაბრუნება) არ იქნება დამოკიდებული რაიმე პირობაზე“,** — აღნიშნულია განცხადებასთან თანდართულ ტექსტში. ამავე ტექსტის მიხედვით, სასამართლომ ნება დართო Credit Suisse-ს, არ დაუბრუნოს კლიენტს მოპარული ფული, თუ მესამე პირისგან მისი ამოღება ვერ მოხერხდა:

**„შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა არა ბანკის, არამედ, ფაქტობრივად, მესამე პირების პასუხისმგებლობა და ბანკი აქცია სახსრების ერთგვარ გამტარად. ამრიგად, წამყვან შვეიცარიულ ბანკში დეპონირებული და ანგარიშებიდან არალეგალური ქმედებების შედეგად ამოღებული თანხების დაბრუნება, პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არ განისაზღვრა, როგორც Credit Suisse-ის პასუხისმგებლობა“. CS Victims-ის განცხადებით, Credit Suisse -მა გამოიყენა აღნიშნული და კლიენტს 2019 წლის აპრილში გადაუხადა მხოლოდ ის თანხა, რომელიც წარმატებით მიიღო მესამე პირისაგან.**

**„სასამართლომ Credit Suisse უნდა აიძულოს, დაფაროს მოპარული თანხები, მიუხედავად მესამე პირებისგან თანხის ამოღებისა. კანონის ან ფინანსების საბაზისო ცოდნის მქონე პირისთვისაც კი გასაგებია, რომ Credit Suisse პასუხისმგებელია დავალიანების დაბრუნებაზე. გადახდა არ უნდა იყოს დამოკიდებული მის დამნაშავე თანამშრომლებზე ან მათ უფროსებზე ან მითურ მესამე პირებზე და ბანკმა უნდა აიღოს თავისი ვალდებულებები, როგორც ფინანსურმა ინსტიტუტმა და კლიენტის ფინანსური უსაფრთხოების გარანტმა“,** — აცხადებს ივანიშვილის პრეს-სპიკერი.

# ლიზ ტრასი: მსურს, მოლდოვა ნატოს სტანდარტებით აღჭურვილი ვიხილო...



**მსურს, მოლდოვა ნატოს სტანდარტებით აღჭურვილი ვიხილო, ამაზე დისკუსია ჩვენს მოკავშირეებთან გვაქვს,** — ამის შესახებ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიზ ტრასმა Telegraph-თან ინტერვიუში განაცხადა. მისივე თქმით, არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მოლდოვის თავდაცვის შესაძლებლობებიც არ არის ნატოს სტანდარტების, რომლითაც რუსეთის სამომავლო თავდასხმის შეჩერება შეეძლება.

მედიის ცნობით, შეთანხმების შემთხვევაში, ნატოს წევრი ქვეყნები მოლდოვას თანამედროვე იარაღს მიაწვდიან, რათა ქვეყანამ საბჭოთადროინდელი თავდაცვის აღჭურვილობა ჩაანაცვლოს, ხოლო ადგილობრივ ჯარისკაცებს სპეციალური სწავლებების გავლა მოუწევთ, მათი გამოყენების შესწავლის მიზნით.

# კოკაინის პირველმა პარტიამ პუტინს 8-10 მილიონი დოლარი მოუტანა!



## პუტინს ებრაული ნარკოკარტელის კოკაინის 1990-იანების სკანდალის ახალი დეტალები ამოუტივტივდა

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს 1990-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალის — ებრაული ნარკოკარტელის კუთვნილი ტვირთის, კერძოდ, კოლუმბიიდან პეტერბურგში ჩატანილი კოკაინის უმსხვილესი პარტიის გაუჩინარების საქმის ახალი დეტალები ამოუტივტივდა. 1993 წელს რუსულმა სპეცსამსახურებმა პეტერბურგში კოკაინის უმსხვილესი პარტიის დაკავება მოახერხეს. ნარკოტიკები ხორცისა და სხვა კონსერვების ქილებში იყო დამალული. ჯამში 1090 კგ კოლუმბიურ კოკაინზე იყო საუბარი. სახელმწიფო ორგანოებმა ტვირთი „სამედიცინო მიზნებით“ ამოიღეს, ხოლო ორ წელიწადში, ოფიციალური ვერსიით, “მოსკოვს გადასცეს“, რის შემდეგაც მისი კვალი გაქრა.




**„სატრანზიტო პუნქტად რუსეთის გამოყენება ებრაელ ბიზნესმენ ამოს სულამის იდეა იყო, რომელსაც რუსეთში საჭირო კავშირები გააჩნდა. კონტეინერი სანკტ-პეტერბურგის მერიის მისამართზე უნდა გაგვეგზავნა“ — ყვება შემთოვ მიხთავი — რუსეთში კოკაინის გადაგზავნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელმაც თავისი 70 წლიდან 32 ისრაელისა და აშშ-ის ციხეებში გაატარა.**

**2021 წლის ბოლოს მიხთავიმ გამოსცა წიგნი „ოპერაცია „აკაპულკო“, რომელშიც ირწმუნება, რომ სანკტ-პეტერბურგის მერიაში არათუ იცოდნენ ამ ტვირთის შესახებ, არამედ ოპერაცია წინასწარ იყო შეთანხმებული უწყების მაღალჩინოსნებთან.**

იმხანად პეტერბურგის მერიის საგარეო კავშირების კომიტეტს ვლადიმირ პუტინი ხელმძღვანელობდა. სწორედ ის კურირებდა უცხოეთიდან პეტერბურგში სურსათის მიწოდებებს.

**„ხელთ მქონდა ყველა საჭირო საბუთი რუსეთში დანიშნულების ადგილების, კონკრეტული მისამართების მითითებით. ეს საბუთები ჰოლანდიაში წავიყოლე და გადავეცი ადამიანს სახელად ვლადიმირ ბახშიევს, რომელიც იმჟამინდელ მერთან — ანატოლი სობჩაკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მათ შორის იყო კიდევ ერთი შუამავალი“,** — ჰყვება მიხთავი.

კითხვაზე, იცოდნენ თუ არა პეტერბურგის მერიაში, რომ ყიდულობდნენ კოკაინს და არა ხორცის კონსერვს, იგი აცხადებს, რომ ამის ასპროცენტიანი მტკიცებულებები არ გააჩნია, თუმცა დარწმუნებულია, რომ იცოდნენ და სობჩაკს ამაში გარკვეული თანხებიც უნდა აეღო.

**„საბუთებში ერთ-ერთ მისამართად მითითებული იყო მერიის სანიტარული სამსახური. მაგრამ კონტეინერი დააკავეს. მისმა დამკავებლებმა მითითებული მისამართი ამოიკითხეს, ხოლო შემდგომში კოკაინი გაქრა“,** — ჰყვება მიხთავი. ტვირთის დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა ვიქტორ ჩერკესოვი, რომელიც თავის დროზე КГБ-ში პუტინთან ერთად მსახურობდა, ხოლო შემდეგ, როცა პუტინი ФСБ-ს ჩაუდგა სათავეში, მისი მოადგილე იყო.

**„პუტინს ისეთივე ღარიბი ბავშვობა ჰქონდა, როგორიც მე. ორივე გამდიდრებაზე ვოცნებობდით. მაგრამ მე წავაგე, მან კი მოიგო. იგი ერთადერთი ადამიანია, რომელიც 1990-იანების შემდეგ წყლიდან მშრალი ამოვიდა. ჭკვიანი კაცია: ჯერ მიიღო ძალაუფლება, გახდა რა ვიცე-მერი, ხოლო შემდეგ — ფულიც. ვფიქრობ, იმ კონტეინერმა პუტინს 7-10 მილიონი დოლარი მაინც მოუტანა“,** — დასძენს მიხთავი, რომელთან საუბარიც „რადიო თავისუფლებისა“ და „Current Time“-ის ერთობლივი ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში შედგა.



# კონსტანტინე გამსახურდია: ერეკლე მეფის შესახებ ამდენი ყაყანი ეფუძნება ისტორიის, ასევე 1783 წლის ზაფხულზე დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების ელემენტარულ არცოდნას

**„ერეკლე მეფის შესახებ ამდენი ყაყანი ეფუძნება ისტორიის, ასევე 1783 წლის ზაფხულზე დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების ელემენტარულ არცოდნას. ტრაქტატი გულისხმობდა პროტექტორატს, ყველაფრის (სამეფო ტახტის, დამოუკიდებლობის, სახელმწიფო ინსტიტუტების) შენარჩუნებით. ერთ-ერთი მართლაც პრობლემური მუხლი იყო ქართულ სამოციქულო ეკლესიაზე, როდესაც საქართველოს კათალიკოსის ჩაწერა მოხდა პირველ ათეულში — რუსებს თავად გაუქმებული ჰქონდათ პატრიარქობა, რუსეთის ეკლესიის სინოდი კი სენატის (ანუ მაშინდელი მინისტრთა საბჭოს) ერთ-ერთი კოლეგია (ანუ სამინისტრო) იყო. მაგრამ ამ პუნქტზეც წერია, რომ იგი საბოლოო არ არის და კორექტირებას ექვემდებარება. გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება არასოდეს შესრულებულა. იგი დაირღვა ძალიან მალე, კრწანისამდეც კი. ხოლო პარტნიორობის ხელშეკრულება ერეკლეს ოსმალეთთანაც ჰქონდა გაფორმებული.**

**რაც შეეხება გიორგი XII-ს (ზოგჯერ XIII-დაც იხსენიებენ, თიკუნით „ზაქიჭამია“), იგი სულ ორ წელიწადს მეფობდა. იგი კარგი მეომარი, თუმცა სრულიად აპოლიტიკური ადამიანი იყო. მან კიდევ ერთი ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან, რომელიც ბევრად უარესი იყო გეორგიევსკზე — ის გულისხმობდა ყველაფრის დათმობას და ფაქტობრივად სამეფოს ჩაბარებას. ამას ეწინააღმდეგებოდა ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც ირანში მოუწია გაქცევა. ვთვლი, რომ ზუსტად ერეკლეს სული მეტყველებდა მასში, რომელსაც კორექტირება სურდა შექმნილი ვითარებისა და ერეკლეს საბრძოლო გენიაც: მან 30 წელიწადი იომა და მოსინჯა ყველა საშუალება რუსეთის გაბატონების წინააღმდეგ კავკასიაში. ბატონიშვილი თეირანში აღესრულა 1844 წელს და იქვე, სომხურ ეკლესიაშია დასაფლავებული.**

**როდესაც დადგა 1800 წელი და ალექსანდრე დაღესტნელების, შირვანელების და სპარსელების ლაშქართან ერთად კახეთში შემოვიდა და ნიახურას ველზე დადგა, მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ მეორე მხარის შეიარაღებული ძალის სათავეში მისი ძმა გიორგი იქნებოდა. მას სურდა ერთი-ერთზე საუბარი მასთან და აუცილებლად შევაცვლევინებ გადაწყვეტილებასო. როდესაც შეიტყო, რომ ქართველების და რუსების მხედრობას სხვები მოუძღვიან, მეფე კი იქ არ არის, იგი მიხვდა, რომ ნიახურაზე აღარაფერი გადაწყდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი უიღბლო მეფე ამ ამბიდან ძალიან მალე გარდაიცვალა. საბოლოო ჯამში ერეკლეს ნებას სწორედ ალექსანდრე გამოხატავდა და არა „ზაქიჭამია“. მისი სურათი (ისევე, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის) პირველად ეროვნულმა მოძრაობამ წამოსწია 1988 წლის მიტინგებზე. ამიტომაც სწერდა ტიციან ტაბიძე მასზე:**

**რა შეედრება პოეტის სახელს?**
**— გმირის სახელი უფრო მეტია.**
**მიყვარს ქართული მიწა მართალი,**
**რაც ვაჟკაცებით მონახვეტია.**
**ამ საშინელ და უიღბლო ღამეს მე მრჩება**
**მხოლოდ ერთი ანდერძი,**
**რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი**
**ბატონიშვილის ალექსანდრესი“...**



# თუ მიჰა და ნიჰა თავისუფალი არ იქნება, გამწყდარა მთელი საქართველო!




გავთავისუფლდით, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ზევიდან კარნახი აღარ გვჭირდება, სულ თავისუფლება ამას, თავისუფლება იმას, ძახილში ვართ. არადა, ვინმეს რომ როდისმე ყურად ელო, ან (ჯვარი გვწერია) ახლა ილოს ყურად ეს გალექსილ-გაულექსავი მოწოდებები, ხომ წარმოგიდგენიათ, რა შავ დღეში აღმოჩნდებოდა ჩვენი იურისპრუდენცია!..

# თავისუფლება მიშნიკს!

**ჩვენ ჭეშმარიტად მებრძოლი ხალხი ვართ. სულ ვიბრძვით ვიღაცის გათავისუფლებისთვის, შინაური იქნება თუ გარეული.**

**ასეა კომუნისტებიდან დაწყებული.**

დროულ ადამიანებს ახსოვთ: ამერიკაში ვიღაც შავკანიანი გოგო დაიჭირეს — ანჯელა დევისი. არ ვიცი, რა დანაშაულისთვის ან უდანაშაულობისთვის (მგონი რაღაც უკეთურობისთვის, რომელმაც საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ელფერი შეიძინა) და ატყდა, მაგრამ რა ატყდა — აბა, ერთად, აბა, ხმამაღლა: „თავისუფლება ანჯელა დევისს“!

ჩვენმა მარად მზადმყოფმა საბჭოთა პოეტებმა უმალ გარითმეს ეს მოწოდება:

**ამ გოგოს თითქოს ძალა აქვს დევის,**
**თავისუფლება ანჯელა დევისს!**

ახლა აღარ მახსოვს, რით დამთავრდა ეს ეპოპეა, ის კი მახსოვს, რომ კაი ხანს ვიბრძოლეთ, კაი ხანს ვიძახეთ!..

მერე ვინმე, მგონი, ბერძენი კომუნისტის (ან მათთან „პრიმკნუვშის“) მანოლის გლეზოსის ჯერი დადგა. დაიჭირეს ის კაცი საბერძნეთში, თუ არ ვცდები „შავი პოლკოვნიკების“ დროს და ერთხმად ვიხუვლეთ:

**ცნობა მოედო ქუჩას და ეზოს,**
**თავისუფლება მანოლის გლეზოსს!**

დღეს „თავისუფლება მიშასო“, ვიჭაჭებით. ამით ვაღამ-ვათენებთ, არა მხოლოდ მოცლილი ხალხი, არამედ ისინიც კი, ვისაც საზრუნავ-საფიქრალი ყელამდე აქვს. გამოჩნდა ამასწინათ ტელეეკრანზე ასაკოვანი ქალბატონი და რომ ვიფიქრე, გარშემოჯარულ ხალხს ეტყოდა, შვილებო, ძმებო და დებო, წადით, ოჯახებს მიხედეთო, გაიშალა თმები და, თუ მიშა თავისუფალი არ იქნება, გამწყდარა მთელი საქართველოო. თუმცა, ის ქალბატონი მარტო არ ყოფილა, საყოველთაოდ სათნო ჟურნალისტმა ნანუკა ჟორჟოლიანმაც ასეთივე ნატვრით დაგვილოცა ქვეყანა.

და არის სატელევიზიო საჯარო განსჯა, მესამე პრეზიდენტი სააკაშვილი სასწრაფოდ გადავიყვანოთ მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის რომელიმე კლინიკაში სამკურნალოდ, რადგან არ მოგვწონს მიშას სახის ფერი, მისი კუჭისა და შარდის ბუშტის მოქმედება, ის, რომ ველარ უძლებს დღეში ასი მნახველის მიღებას, ის, რომ აღარ ესწრება თავის სასამართლო პროცესებს და აღარ წარმოთქვამს მგზნებარე მოწოდებებს ხელისუფლების მშვიდობიანი რევოლუციებით დამხობა-ამოძირკვის შესახებ...

ამჟამად, ცოტა არ იყოს, იუმორისტულ-სარკასტული ვითარებაა: ვინც თავს იდო მიშას დაცვა სასამართლო პროცესზე, ვინც ყველაზე მეტი იძახა, თავისუფლება მიშასო და მკვდარი და ცოცხალი უგინა მთელ საქართველოს, გაგვილანძღ-გაგვითათხა ეკლესია და პატრიარქი, ვაზი და ღვინო, ვინც თავს მიიჩნევდა ოპოზიციონერად და ყოველივე პოზიტიურის მძვინვარე მტერი იყო, სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სამნახევარი წლით ციხეში გამოკეტეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ეკონომიკური დანაშაულობებისთვის.

და უმალ, საკნის კარი არც დაკეტილიყო, ატყდა კაკანი:

თავისუფლება ნიკას!

აქვე მოხდა ბუნებრივი რამ: აზრი რომ არ დაიბნეს, მისამართი რომ არ გაბუნდოვანდეს, ორი ლოზუნგი გაერთიანდა -

თავისუფლება მიშას!
თავისუფლება ნიკას!

არის აზრი, რომ მოწოდება უფრო დაიწუროს, უფრო შეიკრას, უფრო გაცხოველმყოფდეს, მთელი საქართველოსთვის ცხვირ-პირში დამიზნებულ მუშტად იქცეს —

**თავისუფლება მიშნიკს!**

მაგრამ მხოლოდ მოწოდება, მხოლოდ ქუჩაში საპროტესტო მსვლელობები ეკა ხერხეულიძის მედროშეობით და მხოლოდ ტელევიზიებით ამ ხელისუფლების დედის გინება მიშნიკს ვერ უშველის, ციხიდან ვერ იხსნის, ტერორისტულ-აღვირახსნილი მოქმედებაა საჭირო...

ციხიდან ადამიანის ძალადობრივად გათავისუფლების ნათელი მაგალითი „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს აღწერილი. ბევრი იტირა ტარიელმა, ბევრი ლომვეფხვი ხოცა, თავისუფლება ნესტან-დარეჯანსო, მაგრამ ხვიშტი, ქაჯეთიდან ვერ იხსნა, იმან, ვინც ჯერ არს, ვირის ყურები გამოიბა. და, აი, დასხდნენ ტარიელთან ავთანდილი და ფრიდონი და მოქმედების გეგმაც გამოიკვეთა.

მიუხედავად იმისა, რომ ქაჯეთის ციხეს ათი ათასი კაცი იცავდა, გმირებმა მხოლოდ სამასი რჩეული მებრძოლი იკმარეს, „დიდსა რას ვაქნევთ ლაშქართა, კარგი გვინდა და ცოტანიო“ და სამი მხრიდან შეუტიეს. თითქმის ათი წლის ტუსაღი ნესტან-დარეჯანიც გაათავისუფლეს და იმ საწყისი სამასიდან ასსამოცი მებრძოლიც შემორჩათ.

**ეჰ, ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს სადღა ნახავ დღევანდელ საქართველოში!**

**ჰოდა, ნიკანორ მელიას და სხვებს — მიშნიკის ჭირისუფლებს ისღა დარჩენიათ, საგულდაგულოდ შეარჩიონ მოქმედების ხალხი, მაგალითად „სირცხვილიადან“ ან კაპიტან გიგაურის გარემოცვიდან, უსარდლონ ნინო ლომჯარია და მიუშვან რუსთავის მეთორმეტეზე...**

**თუ არადა, ირბინონ ვიოლა ფონ კრამონთან და მისი ინსტრუქციები მოარგონ ციხის ბოქლომს, ვინძლო „ოცნებაც“ კი ჩამოაგდონ ქანდარიდან!**

**ალეკო ასლანიშვილი**



# ჩაჭაობებული წუმპისტყაოსანი

**რაც დრო გადის, „მთავარი არხის“ სატელევიზიო ტაბლო პროკლამაციების ბუდეს ემსგავსება, სადაც აქამდე ეულად მოთავსებულ მოწოდებას „თავისუფლება მიშას“ ერთი კვირის წინათ კრიმინალური სისტემის ფუძემდებლის გაიძვერა ადვოკატის მხარდამჭერი სტრიქონი „თავისუფლება ნიკას“ დაემატა.**

როგორც ვხედავთ, სამართალი ნელ-ნელა, მაგრამ ურმით მაინც მიადგა დამნაშავეთა კასტას, თუმცა ვინაიდან მაწანწალა ნაცფიურერი უკვე შვიდი თვეა, რაც მის მიერვე ძალაუფლებით უსაზღვროდ ტკბობის პერიოდში გაღმერთებული ქართული ციხის სტაჟიან ბინადრად ჩამოყალიბდა, დროდადრო წარმატებით რომ ითავსებს სხვადასხვა პროფილის ჰოსპიტლებისა თუ კლინიკების ჭირვეული პაციენტის როლს, ამჯერად ყურადღება პენიტენციური სისტემის დებიუტანტ სტუმარზე გავამახვილოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა თავად გვაძლევს ახალ ამპლუაში მისით დაინტერესების საკმაოდ მსუყე საბაბს.

უპირველესად, დავსვათ კითხვა — რამდენად არის ყოფილი პროკურორი და მოდელირებული ქრონიკის სასიკვდილო შედეგით დასრულებული სამარცხვინო გამოშვების ავტორი გვარამია ქვეყნის წამყვანი ოპოზიციური ტელეარხის წარმატებული მედიამენეჯერი, როგორც ამას დაბეჯითებით გვიმტკიცებენ სხვადასხვა ჯურის არასამთავრობოები, სამოქალაქო აქტივისტის მანტიას ამოფარებული ომისა და ღალატის პარტიის ფარული თანამოაზრეები თუ, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, სამამულო ომში უცხოელ კეთილისმსურველთა წაქეზებით ჩათრეული უკრაინელი მაღალჩინოსნები და, სავარაუდოდ, არცთუ უანგაროდ ერთი მუჭა ევროპარლამენტარები თუ ამერიკელი სენატორ-კონგრესმენები მაშინ, როცა „რუსთავი-2“-ის თავკაცობისას ნამამაძაღლარი მილიონების ჩაჯიბვის მიუხედავად, მისი ახლანდელი სადემაგოგო ასპარეზი ფინანსურ კრიზისს განიცდის და საკუთარ აუდიტორიასა თუ ამომრჩეველს უტიფრად ევედრება — გადამარჩინეო, თითქოს არ იცოდეს, რომ მათი უმეტესობა, თანამემამულეთა მსგავსად, თითქმის მოკლებულია შემოსავალს.

აღნიშნული მარაზმის შემხედვარე კაცი ძალაუნებურად იფიქრებ — შეგნებულად ხომ არ თამაშდება ეს გულისამრევი ფარსი, წამებული „პოლიტპატიმრის“ ქურქში გახვეულ საკულტო ფიგურას ძველი „გრეხები“ რომ ჩამოურეცხონ და ფინანსური ჭაობიდან რიგითი მიამიტი იდეური მომხრეების ძალისხმევით ამობობღდნენ, მზად რომ არიან ფსევდოლიდერის „გასაპრავებლად“ უკანასკნელი თეთრები გაიმეტონ?

მე თქვენ გეტყვით და გაბუნიას, კვესიტაძეს, ჟორჟოლიანს, სესიაშვილს, გოგოტიშვილს და კამპანიას, ისევე როგორც მათ მსხვილკალიბრიან კოლეგებს სხვა ანტისახელმწიფოებრივი ტელეკომპანიებიდან, ამის შესრულება გაუჭირდებათ.

არანაკლებ გველაძუობად უნდა შეფასდეს ის ანდერძი, რომლითაც განაჩენის მოსმენის შემდეგ პირდაპირ სასამართლოს სხდომათა დარბაზში გამოეთხოვა საკუთარ ოჯახს ახლადგამომცხვარი პატიმარი — არ გაბედოთ და ჩემი შეწყალების თხოვნით პრეზიდენტს არ მიმართოთო.

რომ იტყვიან — „ნამიოკს“ მიგიხვდიო, ტუსაღის მეორე ოჯახმა — თანამშრომლებმა უმალ აიტაცეს ატამანის შეგონება და, მათ სათადარიგო ჭანჭიკად მოღვაწე სახალხო დამცველით დაწყებული, მთელი რიგი წვრილფეხ-მსხვილფეხობით დამთავრებული, ათონელის რეზიდენცია შტურმის ობიექტად აქციეს.

ჯერ სადა ხართ — უზნეოთა მასკარადები აწი ნახეთ!

**გია პლატონიშვილი**



# კორნელი კაკაჩია:

# თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, საერთაშორისო იზოლაციამდე მივიდეთ!

**აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი ორგანიზაცია „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი კორნელი კაკაჩია.**

**— ბატონო კორნელი, მმართველი გუნდის წევრების მხრიდან რიგი დასავლელი პოლიტიკოსების, პარტნიორების არასათანადოდ მოხსენიება სიახლეს არ წარმოადგენს: გვახსოვს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის განცხადება ევროპარლამენტარებთან მიმართებით, ირაკლი კობახიძის ირიბი მინიშნება აშშ-ის მოქმედ ელჩთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა ეს რიტორიკა უფრო ინტენსიური გახდა: ბიძინა ივანიშვილის ფინანსების კონტექსტში შეთქმულების თეორიები შემოგვთავაზეს დასავლელ პარტნიორებზე მინიშნებით, „საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობენო“, კულტურის მინისტრმა ზოგიერთი უცხოელი კრიტიკოსი „ნაცად“ გამოაცხადა... მათ ხომ გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს გზავნილები მხოლოდ საქართველოში არ რჩება, მათ პარტნიორებიც უსმენენ. ამ მიდგომით რის მიღწევას ცდილობენ, მიზანი რა არის?**

— ზუსტი მიზანი, ცხადია, ვერ გვეცოდინება. შეიძლება, ვივარაუდოთ და ამგვარად ვცადოთ ახსნა: მმართველი გუნდი (ბიძინა ივანიშვილიც), გახანგრძლივებული კრიზისის ფონზე ხელისუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნებას ცდილობს. იციან, რომ ორიოდ წელიწადში არჩევნებია, მათთვის არჩევნებში დამარცხება, იმ ფონზე, რაც ხდება (საკაშვილის, გვარამიას დაკავება), ნიშნავს არა მხოლოდ რეჟიმის ჩამოშლას, არამედ ქართული პოლიტიკის წესის — „ვენდეტის“ ამოქმედებას. ბუნებრივია, ამის გამო არსებობს შიში და ცდილობენ, ხელისუფლებაში ყოფნის ვადა მაქსიმალურად ნებისმიერ ფასად გაიხანგრძლივონ. თითქოს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასულია, მაგრამ ვნახეთ, როდესაც მის ფინანსებთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემები, სახელისუფლებო პარტიის წევრების გამოსვლები. რატომ უნდა საუბრობდნენ მმართველი გუნდის პოლიტიკოსები ვიღაც კერძო პირის პრობლემებზე, თუ ის პოლიტიკიდან გასულია? რამდენ მოქალაქეს აქვს პრობლემა და იგივე მონდომებით ახმოვანებენ? ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც ბევრს ჰგონია, რეალურად არის ქართულ პოლიტიკაში და პროცესებსაც მართავს. აქედან გამომდინარე, მათი ამგვარი რიტორიკის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ „მესიჯები“ გაუგზავნონ დასავლეთს, „თუ ჩემს ინტერესებს არ გაითვალისწინებთ და ჩემს წინააღმდეგ განეწყობით, ხელისუფლებას ჩემით არ დავთმობ, მყავს ჩემი მომხრეები (რაც სიმართლეა) და მათ შენს წინააღმდეგ დავრაზმავო“. ეს გარკვეულწილად, შანტაჟია. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს.

**— და რისი იმედი აქვთ, რომ ამასაც „გადაყლაპავენ“?**

ზოგადად, ყველა დაღლილია საქართველოთი, მათ შორის — ვაშინგტონსა და ბრიუსელშიც. გარდა ამისა, ამჟამად ყველას ყურადღება უკრაინისკენაა მიპყრობილი. არავინ იცის, უკრაინის ამბები როგორ და როდის დამთავრდება. შემდეგ ალბათ, საქართველოსთვისაც მოიცლიან. ჩვენს ხელისუფლებას როგორც ჩანს, იმედი აქვს, რომ მანამდე პოზიციებს რაღაცნაირად გაიმყარებს, რომ შემდეგ დასავლეთს საკუთარი პირობები წაუყენოს.

**— ერთ-ერთ მიზნად დასავლეთის ადგილობრივ დონეზე დისკრედიტაცია შეიძლება, განვიხილოთ?**

— რა თქმა უნდა, თუ დასავლეთში მმართველი გუნდის გზავნილებს არ გაითვალისწინებენ, ეს რიტორიკა კიდევ უფრო გამწვავდება. ეს არ მოდის თავსებადობაში დეკლარირებულ კურსთან, მაგრამ თავსებადობაშია ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობასთან.

**— ანუ საკუთარი ამომრჩევლის კონსოლიდირება, დანარჩენ ამომრჩეველში ნიჰილიზმის მაქსიმალურად გაღრმავება, რაც მმართველი გუნდის სასარგებლოდ მუშაობს...**

— დიახ. პლუს ამას ოპოზიცია საკმაოდ ფრაგმენტული, სუსტია და ამით სარგებლობს ხელისუფლება.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ მმართველი გუნდი მომენტით სარგებლობს, მათ შორის რეგიონში არსებული ვითარებით...**

— ყველამ იცის, რომ დღეს საქართველო ვერ იქნება დასავლეთისთვის №1 საკითხი. იმავდროულად, საქართველოს მიმართ ძალიან ბევრი შეკითხვები რომ არსებობს და მისი რეპუტაცია რომ შელახულია საერთაშორისო თვალსაზრისით, ესეც ყველასთვის ცნობილია.

**— თქვენ ისიც ბრძანეთ, საქართველოს თემით დაიღალნენო. მეტი გვიამბეთ თქვენი დაკვირვების შესახებ...**

— ერთი თვის წინ გახლდით სტრასბურგში და ბრიუსელში, სადაც ევროპარლამენტარებს, ევროკომისიის წარმომადგენლებს შევხვდით. ასევე ვხვდებით დიპლომატებს და სხვადასხვა ადამიანებს. ხელისუფლებაშიც კარგად იციან, რომ უკრაინასთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებებმა დასავლეთში საქართველოს ხელისუფლების იმიჯი ძალიან დააზიანა, ხედვა ვერ გაიგეს. აქ არ ვგულისხმობ ქართველ ხალხს, რადგან საზოგადოების დამოკიდებულება მათთვის ცნობილია. ძალიან ბევრი კითხვაა — საით მიდის საქართველო? ცვლის თუ არა კურსს? რა სტრატეგიული მიმართულება აქვს? ყველა ხვდება, რომ ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნების რეჟიმშია. საქართველოსგან „მეორე ფრონტის“ გახსნას არავინ ელოდა და არც ვინმე ითხოვდა, უბრალოდ უკრაინისადმი სოლიდარობის კუთხით მეტი მოლოდინი იყო და ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთებაც შეიძლებოდა. ამას ემატება დემოკრატიის უკუსვლა, რომელიც მანამდეც გვქონდა სახეზე; შარლ მიშელის დოკუმენტის შეუსრულებლობამ კიდევ უფრო გაამყარა ეჭვები; პლუს ოლიგარქიული მმართველობა... საქართველოდან პოზიტიური არაფერი ისმის. ქვეყანა, რომელიც რამდენიმე წლის წინ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფლაგმანი იყო, დღეს მაჩანჩალა, არაფრით გამორჩეულია. ცხადია, ეს საქართველოსთან მიმართებაში ნეგატიურ განწყობებს აჩენს და ეს აისახება კიდეც იმაშიც, თუ როგორ ხვდებიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ევროპაში, დიპლომატიურ თუ აკადემიურ წრეებში. საქართველომ დაკარგა მორალური უპირატესობა, რომელიც მას ათწლეულების განმავლობაში ჰქონდა და რომლის გამოც ყოველთვის უჭერდა მას მხარს დასავლეთი, რადგან აღიქმებოდა როგორც მუდმივმოქმედი რეფორმების ცენტრი რეგიონში. სწორედ ეს ეხმარებოდა საქართველოს და არა პრეზიდენტების პირადი კონტაქტები. ჩვენი გეოგრაფიული მოწყვლადობიდან გამომდინარე ერთადერთი შანსი გვქონდა, რითაც ვიპყრობდით ყურადღებას. მაგალითად, იგივე უკრაინამ მოთხოვნების 100%-იდან 50%-იც რომ შეასრულოს, ეპატიება, რადგან ევროპის უსაფრთხოების სისტემისთვის მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უკრაინის წონა განსხვავებულია. ხოლო ჩვენ 120%-ით უნდა შევასრულოთ, რათა ყურადღება მივიპყროთ. და ამ პირობებში რასაც ახლა ვაკეთებთ, ამას საკუთარ ფეხებში სროლა ჰქვია. ბევრი რამ არის დამოკიდებული, როგორ დასრულდება უკრაინის მოვლენები, მაგრამ ეს რომ დასავლეთისთვის შეუმჩნეველი არ დარჩება, ფაქტია.

**— თქვენც ისაუბრეთ ყურადღების მიპყრობის სირთულეზე. ამავე კონტექსტში მინდა, ვიკითხო, საქართველო არაა განებივრებული ლობისტებით, რომლებიც მუდმივად წამოწევენ ჩვენს საკითხებს. თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად მიიჩნევენ, საუბრობენ ჩვენზე, მმართველი გუნდი კი მათ დისკრედიტაციას ცდილობს. ეს რას ნიშნავს?**

— ამით რეალურად, კიდევ უფრო ასუსტებენ საქართველოს იმიჯს და მის გავლენას საერთაშორისო სარბიელზე. თუ ასე გაგრძელდა, ამან შესაძლოა, საერთაშორისო იზოლაციამდე მიგვიყვანოს. რადგან ეს პოლიტიკა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ახორციელებს, აუცხოებს ჩვენს მეგობრებს, მოსკოვში კი „მუსიკად“ ჩაესმით — ეს არის მოკლე შეჯამება ამ პოლიტიკის. თუ ქვეყანა იზოლაციისკენ წავიდა, შეწყდება, მათ შორის, ევროკავშირის ფინანსური დახმარებები, აღარ ვსაუბრობ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე და ა.შ. — ეს ყველაზე ცუდი სცენარია. მაინც იმედი მაქვს, რომ აქამდე არ მივა ქვეყანა, რადგან ვფიქრობ, საზოგადოების პოზიცია მაინც სხვაა — ჯერ კიდევ მყარია ევროკავშირის, ნატოს და ზოგადად, დემოკრატიისადმი მხარდაჭერა.

**— ბრძანეთ, მათ შორის, უკრაინასთან დაკავშირებით თბილისის პოზიციონირებამ დააზიანა ხელისუფლების იმიჯიო. მმართველი გუნდის წევრების რიტორიკაში, გარდა „ომის პარტიაზე“ აქცენტირებისა, შიგადაშიგ შეიძლება, ამოიკითხოთ არგუმენტები, რომ ეკონომიკურად მიბმულები ვართ რუსეთს, რომ ოკუპაციის პირობებში ვიმყოფებით და რომ რისკები ჩვენთვის უფრო მაღალია, ვიდრე სხვებისთვის. იყო შესაძლებელი, მსგავსი კომუნიკაცია შემდგარიყო როგორც დასავლელ პარტნიორებთან, ისე კიევთან. ანუ, უნდა დავასკვნათ, რომ ამას ადგილი არ ჰქონია?**

— გუშინ არ მოსულან ხელისუფლებაში და ამ 10 წლის განმავლობაში ხომ შეეძლოთ კავშირების დამყარება უკრაინაში, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია? ამ კუთხით არაფერი გაუკეთებიათ. გარდა ამისა, ვერ დამისახელებთ ვერც ერთ სენატორს, კონგრესმენს ან ევროპარლამენტარს, რომელიც დღეს ან ხვალ რომ გაუჭირდეს „ქართულ ოცნებას“, დაიცავს. მათ საქართველოსთვის ახალი მეგობრები არ შეუძენიათ.

**— რა უშლიდათ ხელს?**

— როგორც ჩანს, არ არის მათთვის პრიორიტეტი. საგარეო პოლიტიკა მათთვის არაა აქტუალური, მიუხედავად იმისა, რომ საუბრობენ, „ომი არ მომხდარა“ და ა.შ. რეალურად, ამ პოლიტიკით რუსეთის ინტერესების გათვალისწინებას ახდენენ. ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია, **„საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფინლანდიზაცია“**. ცივი ომის პერიოდში ფინეთი შეზღუდული სუვერენიტეტის პირობებში არსებობდა — ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ვერ ახორციელებდა უსაფრთხოების პოლიტიკას, მაქსიმალურად ითვალისწინებდა რუსეთს. დღევანდელი საქართველო სწორედ იმჟამინდელ ფინეთს ემსგავსება, თორემ ახლანდელი ფინეთი საით მიდის, ვხედავთ.

**„აქცენტი“**

## სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული ილია ჯიშკარიანი სასამართლომ გაამართლა

**საქართველოს პროკურატურა არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, რომლითაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების და ძალადობის ფაქტზე ბრალდებული ი.ჯ. გამართლდა.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 2019 წლის 30 სექტემბერს, ქ.თბილისში, ქ.თბილისის საკრებულოს, ისნის რაიონის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, ი.ჯ.-მ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება და ძალადობა განახორციელა მისი ბიუროს სპეციალისტის — თ.თ.-ს მიმართ.**



**ი.ჯ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ჩადენილი ძალადობით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) წარედგინა.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული ი.ჯ. ყველა წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა, რასაც ბრალდების მხარე კატეგორიულად არ ეთანხმება, მიაჩნია, რომ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დასტურდება ი.ჯ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და განაჩენს კანონით დადგენილ ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.**

# საქართველოს მუზეუმების ფონდი კულტურის სამინისტროს ძალისხმევით ივსება...



**30-წლიანი წყვეტის შემდეგ, 2021 წელს კულტურის სამინისტრომ სამუზეუმო ფონდების შევსება დაიწყო. ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, პროექტის „ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი კერძო კოლექციების ერთიანობის შენარჩუნება/სამუზეუმო ფონდების შევსება ფარგლებში, 2021 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, სამინისტრომ შეიძინა 100 მხატვრის 677 ნამუშევარი. მათ შორის, 153 ფერწერა და 524 გრაფიკა.

**„პროექტი მიზნად ისახავს მუზეუმების ფონდების შევსებას ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებით, ვინაიდან შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდების შევსება 1970-იანი წლების შემდეგ არ მომხდარა. 2021 წელს კულტურის სამინისტრომ შეიძინა გამორჩეულ შემოქმედთა ნამუშევრები, ვისი ნახატებიც აქამდე საერთოდ არ იყო ან არასაკმარისად იყო წარმოდგენილი ფონდებში. ეს ნამუშევრები წარმოაჩენს ქართული სახელოვნებო სივრცის განვითარების სურათს — 1960-1970-იანელთა თაობის ქართული გრაფიკის ახალი კოლექცია, 1980-1990-იანელთა თაობის მხატვრების ფერწერული ნამუშევრები, ასევე ნონკონფორმისტი მხატვრების ნამუშევრები, რომელთა შეძენას საფუძვლად დაედო სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 2021 წლის 5 ნოემბერს ფართო საზოგადოებისთვის პირველად, ჯგუფურად ექსპონირებული ნონკონფორმისტი მხატვრების 53-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, ქანდაკების, კოლაჟური, ასამბლაჟისა და ობიექტის მედიუმში შესრულებული ნამუშევარი.**

ასევე, 2021 წელს კულტურის სამინისტროს მიერ შეძენილ იქნა გამოჩენილი ქართველი მხატვრის ვალერიან სიდამონ-ერისთავის კოლექცია, რომელიც შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმში გადანაწილდა.

**2021 წელს სამინისტრომ შეიძინა შემდეგი მხატვრების ნამუშევრები: დავით ალექსიძე, ბესიკ არბოლიშვილი, ეკა აბულაძე, დიმიტრი ანთაძე, ზურა აფხაზი, მერაბ აბრამიშვილი, იური ბერიშვილი, ზაალ ბაჩანაშვილი, ზაზა ბერძენიშვილი, ვახო ბულაძე, ალექსანდრე ბერდიშევი, ჰანს ჰეინერ ბური, ზურაბ გიკაშვილი, დავით გაგოშიძე, გოგი გეგეჭკორი, მიშა გოგრიჭიანი, გიორგი (უმცროსი) გუგუშვილი, რუსუდან გაჩეჩილაძე, ეკატერინა გელოვანი, გია გუგუშვილი, ია გიგოშვილი, მალხაზ დათუკიშვილი, ზაურ დეისაძე, გია ეძგვერაძე, თამაზ ვარვარიძე, გივი ვაშაკიძე, ნინო ზაალიშვილი, გელა ზაუტაშვილი, ლალი ზამბახიძე, ილიკო ზაუტაშვილი, თემურ თათანაშვილი, კაკო თოფურია, ვახტანგ თოფურიძე, ირაკლი თოიძე, მანანა თუმანიშვილი, თემურ იაკობაშვილი, მარინა ივანიშვილი, კარლო კაჭარავა, თამარ კარბელაშვილი, სოფიო კინწურაშვილი, დავით კრაწაშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, ლაზარი (ლასარეიშვილი) ლუკა, ლალი ლომთაძე, გია ლორია, მამია მალაზონია, ირაკლი მაისურაძე, გელა მანჯავიძე, ლევან მარგიანი, შალვა მატუაშვილი, გიორგი მირზაშვილი, მამუკა მიქელაძე, ნოდარ მალაზონია, ავთო მესხი, ნუგზარ მეძმარიაშვილი, გოგა მაღლაკელიძე, ქეთი მატაბელი, თამარ მელიქიშვილი, ნუგზარ ნათენაძე, გელა პატიაშვილი, კოკა რამიშვილი, გიორგი როინიშვილი, გიორგი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დავით სულაკაური, ზურა სეხნიაშვილი, კოტე სულაბერიძე, ოლეგ ტიმჩენკო, კახაბერ ტატიშვილი, ლევან ურუშაძე, კარლო ფაჩულია, რუსუდან ფეტვიაშვილი, ოლგა ფლორენსკაია, ალექსანდრე ფლორენსკი, ყარამან ქუთათელაძე, ლეილა შელია, მურთაზ შველიძე, მიშა შენგელია, ლორეტა შენგელია, ლია შველიძე, ოთარ ჩხარტიშვილი, ნანა ცინცაძე, მაია ცეცხლაძე, მამუკა ცეცხლაძე, ნიკო ცეცხლაძე, თინათინ ცხადაძე, კოკა ცხვედიანი, გელა წულაძე, გოგი წერეთელი, ნანა ჭურღულია, ლევან ჭოლოშვილი, ლევან ჭიჭინაძე, ლევან ხარანაული, უშანგი ხუმარაშვილი, გია ხუციშვილი, მამუკა ჯაფარიძე, თემურ ჯავახიშვილი, კოტე ჯინჭარაძე, დეა ჯაბუა, თემო ჯაფარიძე, ჯიშკარიანი ნინო“,** — აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

# მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერთა ჯგუფმა ქართული მრავალხმიანობის კვლევა დაიწყო

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, ქართული მრავალხმიანობის კვლევაში სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები ჩაერთნენ,** — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, უპრეცედენტო პროექტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრთან ერთად ხორციელდება. იდეის ავტორი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძეა.

**„პროექტი მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და 2023 წელს დასრულდება. შედეგად, მომზადდება კვლევა ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის თანამედროვე ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ და გამოიცემა ინგლისურენოვანი სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის, ხოლო ქართულენოვან მასალას დაინტერესებული მკითხველი ელექტრონულ ფორმატში გაეცნობა. პროექტში ქართველ მეცნიერებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული მეცნიერები კანადიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან და სხვა. ჯგუფის წევრებს შორის არიან: მელბურნის უნივერსიტეტის კონსერვატორიის საპატიო წევრი, დოქტორი იოსებ ჟორდანია; ეთნომუსიკოსი, პედაგოგი და კომპოზიტორი, პედაგოგიკის პროფესორი პოლო ვალეჰო; ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი, მელბურნის უნივერსიტეტის მსოფლიო მუსიკის გუნდის დირექტორი ნინო ციციშვილი; ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დიდი ბრიტანეთის მანჩესტერის უნივერსიტეტის, მუსიკის დეპარტამენტის პროფესორი ქეროლაინ ბითელი; დამოუკიდებელი მეცნიერი ანდრეა კუზმიჩი; პოტსდამის უნივერსიტეტის გეომეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი, დოქტორი ფრენკ შერბაუმი; ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი მეთიუ ნაითი და სხვა. პროექტის მიზანია ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგების თვალით დანახული ქართული მრავალხმიანობის თანამედროვე მდგომარეობის და მისი სამომავლო პერსპექტივების წარმოჩენა“,** — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# თეა წულუკიანი ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს ესტუმრა

კულტურის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, რომელიც სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციაა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარეობს.

**„მინისტრმა დაათვალიერა სახლ-მუზეუმი და ადგილზე გაეცნო მისი მუშაობის სპეციფიკას. თეა წულუკიანმა მუზეუმის ხელმძღვანელობისგან მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაართვა მუზეუმმა თავი პანდემიის პერიოდში არსებულ გამოწვევებს და რა გეგმები აქვს სამომავლოდ. მინისტრმა ნიკო ნიკოლაძის უნიკალური ნივთებიც დაათვალიერა და სამინისტროს სახელით მუზეუმს მხარდაჭერა აღუთქვა“!..**



# სტუდენტმა რეჟისორმა დავით თარბამ „წმინდა ანტუანის სასწაული“ დადგა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულ თეატრში სტუდენტი რეჟისორის დავით თარბას სადებიუტო სპექტაკლის, „წმინდა ანტუანის სასწაული“ ჩვენებას დაესწრო,** — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სპექტაკლი 2021 წელს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის („სტუდენტი რეჟისორების სპექტაკლების დადგმის ხელშეწყობა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ თეატრებში“) შედეგად დაიდგა. „ბელგიელი დრამატურგის მორის მეტერლინკის ყველასათვის ცნობილი პიესა „წმინდა ანტუანის სასწაული“ საქართველოში, თოჯინურ სივრცეში პირველად დაიდგა. თბილისის თოჯინების პროფესიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ საბაშვილმა, თეატრის ახალი სივრცე, ახალგაზრდა რეჟისორის დავით თარბას სადებიუტო ნამუშევრით გახსნა. დამწყებმა რეჟისორმა ექსპერიმენტულ სპექტაკლში მეტერლინკისთვის დამახასიათებელი მისტიკური და ზღაპრული გარემო შექმნა.




მიუხედავად იმისა, რომ პიესა დრამატული თეატრისთვის დაიწერა, მასში ასახული ამბები, დაუჯერებელი ისტორია, ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტებითა და მისტიციზმით გაჯერებული, ძალზედ ორგანულად მოერგო თოჯინების სტილისტიკას. სპექტაკლზე რეჟისორ **დავით თარბასთან** ერთად მუშაობდნენ: თოჯინების მხატვარი-**ვლადიმერ მელტცერი,** კომპოზიტორ — **ლევან ბაშარული,** ხმის რეჟისორი— **არჩილ ბურჭულაძე**, ხოლო სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: **დავით როსტომაშვილი, ლილი ხურითი, მაია ხორნაული, ნოდარ ძოწენიძე, გიორგი ქორიძე, ირაკლი ჩხიკვაძე, სანდრო კახეთელიძე, აკო გოგელია, ნუკა ქევხიშვილი, მალხაზ გაბუნია, ვახო ჭელიძე, მარიკა ძაგნიძე, მაია მალხაზიშვილი, თამთა ბაქრაძე, გიორგი ქორიძე, სანდრო კახეთელიძე** და **თეა კიწმარიშვილი.**

გარდა ამისა, მიმდინარე წელს კულტურის სამინისტროს გამოცხადებულ კონკურსში **„კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ რეჟისორმა საკონკურსო პროექტით წარმოდგენილი სპექტაკლით „ინტერვიუ“ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. საგულისხმოა, რომ ეს სპექტაკლი თეოდორ ჰოლმანისა და თეო ვან გოგის პიესის მიხედვით საქართველოში პირველად დაიდგა და პიესა ამ პროექტისთვის საგანგებოდ ითარგმნა ქართულ ენაზე“, —** ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# კახეთის რკინიგზის აღდგენა თბილისს განტვირთავს!

**საცობი დილით, საცობი შუადღეს, საცობი საღამოს — გადატვირთული მოძრაობა თბილისის ქუჩებში ბოლო პერიოდის მუდმივი პრობლემაა. რეალურად სატრანსპორტო პოლიტიკის მოწესრიგება კახა კალაძის საარჩევნო დაპირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, თუმცა მერობიდან მე-5 წლისთავზე პრობლემა როგორც ქვეითებისთვის, ისევ მძღოლებისთვის, მოუგვარებელია. გადატვირთული სატრანსპორტო ნაკადების განსატვირთად თბილისის მერიას დეველოპერული კომპანია „არსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ირაკლი როსტომაშვილი მიმართავს.**

ბიზნესმენის აზრით, მაქსიმალური ყურადღება საგარეუბნო ტრანსპორტის განახლებას უნდა დაეთმოს. იგი ამბობს, რომ პროექტი თბილისი-თელავის სარკინიგზო მაგისტრალის მიმოსვლის აღდგენით უნდა დაიწყოს, რა დროსაც კახეთიდან შემომავალი მანქანების რაოდენობა განახევრდება და ტრანსპორტის ნაკადით სავსე ქუჩები განიტვირთება:

**„თბილისში გადატვირთული სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტა, ცხადია, ადვილი არ არის და ამას რამდენიმე მწყობრი ნაბიჯის გადადგმა სჭირდება. ჩვენი კვლევით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თბილისის მიმდებარე რაიონებში საგარეუბნო ელექტრომატარებლის აღდგენა და განვითარებაა. ამ მიმართულებით, ყველაზე ადვილად შეიძლება კახეთის საგარეუბნო რკინიგზა აღდგეს. სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისთვის, თითქმის 80% ჯდება ე.წ. გზის პროფილის მშენებლობა, ხოლო დაახლოებით 20% სარკინიგზო ლიანდაგების დაგება. ჩვენს შემთხვევაში პროფილი უკვე არსებობს და ძალიან მოკლე ვადებში, მცირე დანახარჯებით აბსოლუტურად რეალურია ავაღდგინოთ და გავხსნათ თელავის მიმართულებით საგარეუბნო ელექტრომატარებლის მიმოსვლა. ევროპული სტანდარტებით, ეს არის საათზე ნაკლებ დროში დასაფარი მარშრუტი. რკინიგზის აღდგენა ძალიან ბევრი მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. პირველ რიგში მკვეთრად შეამცირებდა თბილისში შემომავალი მანქანები, — ჩვენი ვარაუდით, კახეთიდან შემომავალი მანქანების რაოდენობა განახევრდება, პროექტი ასევე ძალიან განავითარებს ტურიზმს და ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონის განვითარებას“,** — განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ უფუნქციოდ დარჩენილი კახეთის საუკუნოვანი რკინიგზის შესახებ “კომერსანტი“ ჯერ კიდევ გასულ წელს წერდა. ჩვენ გიყვებოდით, რომ 35 წლის წინ თელავიდან პეტერბურგში მატარებლით ჩასვლა გადაჯდომის გარეშე იყო შესაძლებელი, დღეს ხაზზე მხოლოდ ცარიელი ელმავლები, ე.წ. დრიზინები და იშვიათად სატვირთო შემადგენლობები მოძრაობენ. 2018 წლის მარტში, ტურიზმის განვითარების ფარგლებში, ამ რკინიგზის ალმოსავლეთის მონაკვეთის აღდგენის სურვილი გამოითქვა, მას შემდეგ 3 წელი გავიდა, 3 პრემიერი გამოიცვალა, მაგრამ კახეთის რკინიგზა არ აღდგენილა.

**ბაჩო ადამია**

# არათუ დიდი, საშუალო ზომის ჰესებიც ველარ შენდება!



**საქართველოში ჰესების მშენებლობა თითქმის ყველგან შეჩერებულია. ენერგეტიკული დარგი თანდათან ჩიხში შედის. გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს. ნამახვანჰესის შემდეგ, არათუ დიდი, არამედ საშუალო სიდიდის ელექტროსადგურიც კი არ შენდება.**

რამდენიმე დღის წინ ნენსკრაჰესის დაპაუზებულ მშენებლობის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** დაადასტურა, რომ ინვესტორმა, კორეულმა კომპანია „ქეი უოთერმა“ ვალდებულებები ვერ შეასრულა და ჰიდროელექტროსადგური ამ დრომდე ვერ ააშენა. ამჟამად მთავრობა ინვესტორთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, რათა სახელმწიფოსთვის პროექტის პირობები გაუმჯობესდეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე **ნინო ვიბლიანი** კი აცხადებს, რომ მოსახლეობის ნაწილი ობიექტის მშენებლობას აპროტესტებს, ნაწილს კი კითხვები აქვს.

**„მსოფლიოში არ მოიძებნება პროექტი, რომელსაც 100%-იანი თანხმობა აქვს. თუმცა მოგვარებადი თემაა იმიტომ, რომ მოსახლეობის ნაწილი მომხრეა. კომპანიას ტაიმაუტივით ჰქონდა აღებული აქტივობების თვალსაზრისით, შესაბამისად, დღესაც იგივე რჩება მოსახლეობის მოთხოვნები თუნდაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტზე, ასევე უსაფრთხოების კუთხით უფრო მეტი განხილვა და ახსნა-განმარტება სჭირდება ხალხს“,** — განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ საუბრისას ვიბლიანმა.

ენერგოუსაფრთხოებისათვის ქვეყანაში ჰესების არსებობა აუცილებელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანას საკუთარი რესურსი არ ჰყოფნის და ელექტროენერგიის შეძენა მეზობელი ქვეყნებისაგან უწევს. 2022 წლის 30 აპრილს ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა ნენსკრაჰესი, ნამახვანი და ხუდონი, არა კერძო ინვესტორის, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს და ამ მხრივ ცვლილებები დააანონსა. როგორც ენერგეტიკოსი **გია არაბიძე** აცხადებს, მასშტაბურ ენერგეტიკულ პროექტებში სახელმწიფოს თანამონაწილეობის გაზრდას ქვეყნის ეკონომიკაზე თავისი უკუეფექტი ექნება, თუმცა დღეს სხვა გზა უბრალოდ აღარც არის. ყველა დაანონსებული მსხვილი პროექტი გაჩერებულია იმ დროს, როდესაც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგას.

**„ის, რომ სახელმწიფო ეძებს გზებს, რომ რაც არ უნდა მოხდეს მან გააააქტიუროს ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა, მისაღებია, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენ სხვა გზა ვერ ვნახეთ და სახელმწიფოს ჩარევით ვიწყებთ ამ საქმის კეთებას. ის აზრი, რომ ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგიის წყაროები რაიმეს შეცვლის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაში, ასე არ არის.**

**შესაბამისად, ძირითადი ჰიდრორესურსის ათვისებით უნდა დავიწყოთ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის განცხადება ენერგოპროექტებში ჩართვაზე ეკონომიკურად არ არის მომგებიანი, სხვა გზა არ გვაქვს. ამიტომ მე როგორც ენერგეტიკოსი ვამბობ, თუ გინდათ, ჯოჯოხეთიდან ამოიყვანეთ ეშმაკი და იმას ააშენებინეთ ენერგეტიკული ობიექტები, ვინაიდან ეს სჭირდება ქვეყანას“,** — აცხადებს არაბიძე. მუდმივად იმპორტზე დამოკიდებულება ქვეყნისათვის დიდი პრობლემაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ელექტროენერგიაზე დეფიციტი მზარდია. ენერგეტიკოსი **მურმან მარგველაშვილიც** მიიჩნევს, რომ ჰესების მშენებლობა საქართველოსთვის აუცილებელია, რაც საბოლოოდ ისევ ქვეყანას გამოადგება.

**„ეს არის საქართველოს ენერგოენერგეტიკის საფუძველი. ჩვენი, საკუთარი ენერგიის წყარო დღეს არის ჰესები, რაც სამომავლოდ იძლევა იმის პერსპექტივას, რომ ამ ყველაფერში ალტერნატიურლი საშუალებები, ანუ ქარი და მზე ჩავრთოთ, რაც განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. აუცილებელია, განახლდეს შეჩერებული ჰესების მშენებლობა და რაც მომავალში აიგება, იყოს სასარგებლო დარგისთვისაც და მოსახლეობისთვისაც“,** — აღნიშნა მარგველაშვილმა.



# გაყიდული 1 ლიტრი ბენზინიდან 1 ლარი ბიუჯეტში მიდის!

**საქართველოში ბრენდულ ავტოგასამართ სადგურებზე რეალიზებული ყოველი 1 ლიტრი საწვავიდან, როგორც ბენზინიდან ასევე დიზელიდან, 90 თეთრიდან 1 ლარამდე თანხა ბიუჯეტში აქციზისა და დღგ-ს სახით ირიცხება.**

აქციზის თანხა ფიქსირებულია, დღგ კი ფულად გამოსახულებაში საწვავის თვითღირებულებასთან ერთად იზრდება.

**„ორი რამაა გარდაუვალი — სიკვდილი და გადასახადები“. ბენ ფრანკლინის მიერ XVIII საუკუნეში ნათქვამი ეს ფრთიანი ფრაზა XXI საუკუნეშიც აქტუალურია. ჯერჯერობით არც უკვდავების წამალი გამოუგონიათ და გადასახადებსაც ყველა იხდის, მათ შორის ისინიც, რომლებიც არც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან და არც დაქირავებით არიან დასაქმებულები.**

2004 წელს საქართველოში გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე შემცირდა, თუმცა ზოგიერთ მათგანს უბრალოდ სახელი შეეცვალა და „მოსაკრებელი“ დაერქვა. 2011 წელს მიღებული „თავისუფლების აქტის“ საფუძველზე აქციზის გარდა, რეფერენდუმის გარეშე საქართველოში გადასახადების ზრდა აიკრძალა. ჩანაწერი კონსტიტუციაშიც გაკეთდა, მაგრამ 2017 წელს ცვლილებების შედეგად მუდმივი მუხლი 12 წლიანი დათქმით შეიცვალა.

**2022 წლის ბიუჯეტში გადასახადების სახით 13,424 მლრდ ლარის შემოსავლის მიღებაა განსაზღვრული, რომელშიც ყველაზე დიდი — 40%-იანი წილი დღგ-ს უკავია. მთავრობის გათვლით, მიმდინარე წელს დღგ-ს მოცულობამ 5,4 მლრდ ლარს უნდა მიაღწიოს. აქციზი კი მასზე თითქმის 3-ჯერ ნაკლებია და 1,89 მლრდ ლარს შეადგენს.**

**დღგ საყოველთაო გადასახადია, რომელსაც მცირედი გამონაკლისის გარდა იხდის ყველა, ვისი ბრუნვაც, ბრუნვა და არა მოგება, წლიურად 100 000 ლარს აღემატება. მაღაზიაში, აფთიაქში, სასტუმროში, რესტორანსა თუ ავტოგასამართ სადგურზე მომხმარებელი დამატებული ღირებულების 18%-ს ირიბად თავად იხდის.**

**აქციზით მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქონელი იბეგრება, ალკოჰოლი გარდა ღვინისა, თამბაქოს ნაწარმი, საწვავი...**

**1 ტონა ბენზინი (1300 ლიტრი) 500 ლარით იბეგრება, 1 ტონა დიზელი კი 400 ლარით. 2017 წლამდე გადასახადი ბენზინზე 250 და დიზელზე 150 ლარს შეადგენდა. 2017 წელს მოგების გადასახადის რეფორმა გატარდა და რეინვესტირებული მოგება 15%-იანი სახდელისგან გათავისუფლდა. საწვავზე აქციზის ზრდა მის დასაკომპენსირებლად იქნა ახსნილი.**

**თუ ლიტრებში ვიანგარიშებთ, 1 ლიტრ ბენზინზე აქციზი 38 თეთრია, დიზელზე — 31 თეთრი. დღგ კი ფასზეა დამოკიდებული. იანვარში, როდესაც რეგულარის ტიპის ბენზინის სარეალიზაციო ფასი 3.13 ლარი იყო, მასში დღგ-ს წილი 48 თეთრს შეადგენდა. აპრილში სარეალიზაციო ფასი 3.80 ლარი იყო და დღგ-ს წილი 58 თეთრამდე იყო გაზრდილი.**

**რეალიზაციის მომენტში დღგ უკვე ყველა ხარჯსაა დამატებული. მაგალითად თუ მარტში რუსეთიდან იმპორტირებული რეგულარის ტიპის ბენზინის საბაჟო ღირებულება 2.05 ლარს შეადგენდა, საოპერაციო დანახარჯი 20 თეთრს, აქციზი 38 თეთრს და ფასნამატი 59 თეთრს, რაც ჯამში 3.22 ლარია. მას ზემოდან 3.22 ლარის 18% - 58 თეთრი დაემატა. შედეგად საბოლოოდ სარეალიზაციო ფასი 3.80 ლარი გახდა.**

**ამ შემთხვევაში აქციზისა და დღგ-ს ჯამური საფასური 95 თეთრს შეადგენს. პრემიუმი უფრო ძვირია და შესაბამისად მეტია დღგ-ც. დიზელზე აქციზი შედარებით იაფია - 31 თეთრი, მაგრამ რადგან მისი ფასი ბენზინისას აჭარბებს, დღგ კიდევ უფრო იზრდება. პრემიუმის ტიპის ბენზინისა და ევროდიზელის შემთხვევაში დღგ-სა და აქციზის გადასახადის ჯამური მოცულობა უკვე 1 ლარია.**

იმპორტიორები დღგ-სა და აქციზის გარდა, მოგებისა და ქონების გადასახადსაც იხდიან, იმპორტის გადასახადი პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობაში განულებულია. დასაქმებულებს კი საშემოსავლო ეჭრებათ. საბოლოო სარეალიზაციო ფასზე ეს გადასახადებიც მოქმედებს, თუმცა მათი წილი ბევრად ნაკლებია, გარდა ამისა რთულია იმის განსაზღვრაც, თუ რამდენი თეთრით აძვირებს ეს ოთხი გადასახადი 1 ლიტრ ბენზინს. მეორე წელია პერიოდულად აქციზის გაუქმების, ან როგორც მინიმუმ მისი განახევრების მოთხოვნა გაიჟღერებს ხოლმე. რასაც მთავრობა არც კი განიხილავს. **აქციზის გაუქმების შემთხვევაში 1 ლიტრი ბენზინის ფასი დაახლოებით 45 თეთრით შემცირდებოდა. 38 თეთრი საკუთრივ აქციზი. პლუს 7 თეთრი დღგ-ით. რადგან დღგ უკვე ნაკლებ თანხას დაერიცხება, მისი მოცულობაც ავტომატურად შემცირდება.**

**2021 წელს იმპორტირებული ბენზინის მოცულობამ 789 ათასი ლიტრს, იმპორტირებული დიზელის მოცულობამ კი 664 ათასი ლიტრი შეადგინა. მხოლოდ აქციზით მთავრობამ ბენზინისგან 300 მლნ ლარისა და დიზელისგან 206 მლნ ლარის, ანუ ჯამში 506 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო. მაგრამ რადგან აქციზი დღგ-საც აძვირებს რეალურად აქციზით ბიუჯეტში ბენზინისგან 355 მლნ და დიზელისგან 242 მლნ ლარი ანუ ჯამში 597 მლნ ლარი შევიდა. გაძვირებული საწვავის ხარჯზე წელს ეს თანხა გაიზრდება.**

აწყობს თუ არა მთავრობას საწვავის გაიაფება? ერთი მხრივ ამით თუ მოსახლეობის კმაყოფილება არ გაიზარდა, უკმაყოფილება მაინც შემცირდება, მეორე მხრივ კი გადასახადებით ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები ფინანსდება.

**გიორგი ელიზბარაშვილი**



# „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“!

## სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა?!

**უდავოდ მისასალმებელია, რომ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა გამოსცა შიდა ქართლის ძეგლებზე ჩატარებულ მეცნიერულ და მეცნიერულ-პოპულარული კვლევა-ძიების ოთხტომეული.**

შიდა ქართლი წიგნებში მეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი, „განხილულია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპები - ფართოდ გავრცელებული მარტივი და რთული გარშემოსავლებიანი და კოშკიანი გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურის დარბაზული ეკლესიები; აქვეა იშვიათი სახის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები. სიმაგრეებს შორის წარმოდგენილია ზურგიანი კოშკები; მათი საუკეთესო ტიპები X-XI ს. არ გადმოშორდება.

ძეგლები ხელოვნებათმცოდნეობითი თვალთახედვითაა შესწავლილი და დათარიღებული, რაც საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფონზეა გააზრებული.“

შიდა ქართლი (I): პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა. (ცხინვალის რაიონი), 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები.

შიდა ქართლი (II): ზნაურის (ყორნისი) რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 1983-1984 წლების ექსპედიციის მასალები.

შიდა ქართლი (III): ჯავის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა (ქართულ-რუსულ ეანაზე), 1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები.

შიდა ქართლი (IV): ახალგორის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები.

აღნიშნული ოთხტომეულიდან ჩვენ IV ტომს (2008 წ.) - ახალგორის რაიონის არქიტექტურულ მემკვიდრეობას მცირედით შევეხებით.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები: ხელოვნებათმცოდნეები – ცირა დადიანიძე (რედაქტორ-გამომცემელი), აკაკი თოფურია, პაატა ბასიშვილი; არქიტექტორები – ლადო ვარდოსანიძე, ლადო გიორგაძე, ნინო ბაგრატიონი; ისტორიკოსები – ბაადურ კუპრეიშვილი, გიორგი ოთხმეზური, მარინა აბაშიძე.

რეცენზენტები: არქიტექტურის ისტორიკოსი გივი გაფრინდაშვილი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პარმენ ზაქარაია.

ქვეყნის მძიმე დღევანდელობის ჟამს, **,,ერის სულიერი გაჯანსაღება, მისი დედაეკლესიისკენ შემობრუნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო ერის გამორჩეული შვილები ამისათვის უშურველად ირჯებიან.“ მათ შორისაა ცხინვალელი ბიზნესმენი და მეცენატი, ოთხტომეულის გენერალური სპონსორი ბატონი გია ოქრუაშვილი.**

ნიშანდობლივია, რომ **„კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხალხებს შორის თანაცხოვრებისა და ურთიერთობის ატმოსფეროს. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კი, ასეთი თანაარსებობის გარეშე წარმოუდგენელია.“ დადგა დრო, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ, სწორად გავიაზროთ ისტორიული წარსული.**

გასული საუკუნის 70-90-იან წლებში, საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველო ქვეყნის ყველა რეგიონში, ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აღრიცხვა-პასპორტიზაციისა და ფიქსაციის მიზნით, ინტენსიურ საველე ექსპედიციებს აწარმოებდა. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: ,,ერთ-ერთი ასეთი ექსპედიცია მოეწყო დღეისათვის მეტად მტკივნეულ **სამხრეთ ოსეთის რეგიონში( ?!).** ექსპედიციის წევრებმა მოიარეს ცხინვალის, **ზნაურის (?!),** ჯავისა და ახალგორის არქიტექტორული ძეგლები.“ დიახ, შავად თეთრზე წერია: **„სამხრეთ ოსეთის რეგიონში“(?!); ზნაურის და არა ყორნისის?!..**

წიგნის წინათქმაში, უფრო შორს წავიდა **ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პ. გერგაია,** სადაც აღნიშნავს: ,,სწორედ ახალგორის კულტურის ძეგლების მიმოხილვით სრულდება **სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის (ჰოი, საკვირველებავ!..) კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და ეს შემთხვევითი არაა, რადგან ამ რაიონში აღწერილი და დადასტურებულია 350 ხუროთმოძღვრული არქიტექტურის უმშვენიერესი ნიმუში, რომელთაგან რამდენიმეს საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის ნოემბრის №665 ბრძანებულებით, მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის კატეგორია...“**

და ისევ, „კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ ცირა დადიანიძეს და ბატონ გია ოქრუაშვილს, ადამიანებს, ვისაც მატერიალისტური კონფორტის ფონზე, რაციონალიზმის მატერიალური იდეის რიტმში, წამითაც არ ავიწყდებათ წმინდა ტრადიცია, სულიერი ჭეშმარიტება ამ ტრადიციისა და სულიერების ნაყოფი – ქართული ხუროთმოძღვრების შეუფასებელი ნიმუშები. სწორედ მათი საერთო ძალისხმევით გახდა შესაძლებელი **სამხრეთ ოსეთის მემკვიდრეობაზე(?!) შესანიშნავი ოთხტომეულის შექმნა.“**

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, საქართველოს ისტორიის გაყალბებაში ისედაც დახელოვნებულ ზოგიერთ ექსტრემისტულად განწყობილ ვაი-პოლიტიკოსებს ამით, მათთვის სასურველ არეალს ვუქმნით. ღირდა კი პატივცემული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ასეთი წინათქმის წამძღვარება? – მკითხველთათვის „საწუხარ არს ესე!“

მართლაცდა, „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!..“

**როზერტ ოდიკაძე,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# ბეთლემიდან ყვარელამდე

**აპრილის დამდეგს თსუ-ში ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ აღადგინა სალიტერატურო შეხვედრები. ტრადიციულად, მარტში უნდა განახლებულიყო, მაგრამ უკრაინის ტრაგედიამ აღარც გული შეგვარჩინა და აღარც რაიმეს სურვილიო, – თქვა როსტომ ჩხეიძემ და ყველას აზრი გამოხატა.**

მერე კი თითქმის ორი საათის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის შესახებ გვესაუბრებოდა, ბიოგრაფიული რომანის, „მუხა უდაბნოში“ შექმნის გარემოებებსაც გვაცნობდა.

სათაური მიხეილ ჯავახიშვილის გამონათქვამიდანაა შერჩეული. თვითონ მუხამ (ილიამ) გარემოც რომ მუხნარად აქცია.

რომანს თავისებური კომპოზიცია აქვს. ოთხი კარისგან შედგება ოთხთავივით, რომელშიც მეორე და მეოთხე ნაწილი სხვათა თვალით დანახული ილიაა. ხოლო უფრო ადრე დაწერილი მისტიკური დეტექტივი – „ეკლიანი და პატარა გზა“ მთლიანად შევიდა რომანში, რომელშიც ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურაა დახატული.

როცა ეროვნული ენერგიის არ გწამს, ქვეყანას ვერც წარმართავ და ვერც მოუვლიო, – ფაქტობრივად ამით დაიწყო ორატორმა. ილია ჭავჭავაძე დღეს ისეთი თანამედროვე, ისეთი აქტუალურია, როგორც არასდროს. ახლა, როცა მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი პოზიცია – მორჩილება თუ პროტესტანტული სულისკვეთება – ილიაზე უკეთეს მეგზურსა და ორიენტირს ვის ინატრებს კაციო?!




ძველ, მამათა თაობას უკომპრომისოდ, დაუნდობლად ებრძოდაო, – გვისწავლია, წაგვიკითხავს. არადა, „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში, პირველსავე გვერდზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს აქვეყნებს, რომანტიკოსისა, გრიგოლ ორბელიანის, რომანტიკოსის, ფაქტობრივად აპოლოგეტია, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსთა პირველი კრებულის ერთ-ერთი შემდგენელ-გამომცემელი, ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის ავტორი... მაშინ, როცა ბანკის საქმიანობის თაობაზე კამათში ილიას თვით აკაკი წერეთელიც გადაუდგა და მხარი ივანე მაჩაბელს დაუჭირა, ილიას გვერდით გრიგოლ ორბელიანი აღმოჩნდა - მამათა ბანაკის მეთაური. მათ ხომ საერთო აზრი, საერთო იდეა, საერთო მიზანი აახლოვებდა ერთმანეთთან.

რამ ათქმევინა მაინც აკაკის, ყვარელი საქართველოს ბეთლემიაო!..

მაშინ ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო ილიას დევნა, არაფერი მოასწავებდა მის მოწამეობრივ აღსასრულს. აკაკი იყო და წინასწარმეტყველებდა. ისევე, როგორც ილია წინასწარმეტყველებდა დიმიტრი ყიფიანის მოწამეობრივ თავდადებას მამულისათვის.

შეხვედრაზე დამსწრეთ და კიდევ უამრავ მკითხველს კარგად მოეხსენება როსტომ ჩხეიძის უნარი თუ თვისება, ძირისძირობამდე ჩაწვდეს მოვლენებს, არა მარტო გაიაზროს, კიდეც განიცადოს; პარალელების, ასოციაციების, წარმოსახვის მოშველიებით ახსნას, გახსნას კარი „დაბეჭდული“. ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის, მწერლის, ლიტერატურისმცოდნის ცოდნითა და ალღოთი დაგვანახოს მომხდარი, ასე ვთქვათ, შიგნიდან.

აბა, როგორი სახალისო მოსასმენენი იქნებოდა (წასაკითხადაც სასიამოვნოა, ცხადია), როგორ მოიტაცა ილიამ ოლღა, მანამდე როგორ ეახლა გურამიშვილების ოჯახის ახლობელს, ძია გიორგის, რათა ოლღაზე დაქორწინების თანხმობა მიეღო, ეს ძია გიორგი კი არც მეტი, არც ნაკლები, ის გიორგი მუხრანბატონი გახლდათ, პატარა ერებისა და ენების გაქრობასა და დიდ ერებსა და ენებში ასიმილირებას რომ ქადაგებდა, რის გამოც ილიას უკვე მწარედ ჰყავდა გალანძღულ-გაკრიტიკებული.

გაინტერესებთ, როგორ მოახერხა ჭაბუკმა და უდიპლომო ილიამ ანბანიდან ხუთი ასოს ამოღება და მერე სახელგანთქმულმა და ასაკოვანმა მეცნიერებმა და მწერლებმა – მიხეილ ჯავახიშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, აკაკი შანიძემ... – ერთი ასოც ვერ დააბრუნეს (ჩაამატეს) უკან? პასუხი მარტივია: ხალხია ენის კანონმდებელი და არა რომელიმე ანბანთთეორეტიკოსი. და ილიამ აღასრულა ეს კანონმდებლობა – გორდიას კვანძივით გადაჭრა გადასაჭრელი.

შეიარაღებული და დუელიანტი ილიას პორტრეტიც დაიხატა მსმენელის წინაშე, ბანკი, თეატრი, უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნა ივანე მაჩაბელთან ერთად და მერე მასთან დაპირისპირება, შექსპირის როლი ქართული მიწების შენარჩუნებაში და კიდევ ბევრი, ბევრი საკითხი არ გამორჩენია ორატორს და, რა თქმა უნდა, დაწვრილებით ისაუბრა ხალხისგან პრეზიდენტად აღიარებული ილიას მკვლელობის გარემოებებზეც.

რომანიდან შიგადაშიგ რამდენიმე ნაწყვეტიც წაიკითხა და გამოსვლა დაამთავრა ნიკო ნიკოლაძის მონათხრობის წაკითხვით.

**ილიას მერე ვერ შევავსეთ მისი ადგილი, არადა, თავი ყველას ილია გვეგონაო, – დაახლოებით ასეთ რამეს ამბობს სინანულით ნიკო ნიკოლაძე ბატონი როსტომის რომანში. აბა, თუ ვინმეს შეუძლია, შეავსოსო. მე არა, მე ტყუილად მომჩერებიხართო...**

**ეს ბოლო წინადადება, კარგად ვერ გავიგე, მე-19 საუკუნელისა იყო თუ თვითონ ავტორისა. რა ვიცი, ჩვენ კი მართლა მას შევჩერებოდით და...**

**ნინო ვახანია**

# წარდგენა ბიოგრაფიული რომანისა ილია ჭავჭავაძეზე

## დღის აფორიზმიდან



**– ბედნიერი ქორწინებაა ის ქორწინებაა, როცა ქმარს ყოველი სიტყვა ესმის, რომელიც ცოლს არ უთქვამს.**



**არაერთი დასავლელი პოლიტიკოსისგან გვსმენია, რომ 15-20 წლის წინანდელი ვლადიმირ პუტინი, რომელსაც ანგარიშგასაწევ ლიდერად მიიჩნევდნენ, ხელს ართმევდნენ, სიამოვნებით ხვდებოდნენ, რომელიც თავის დროზე ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას გერმანულად საუბრობდა, დღეს აღარ არსებობს და ამჟამინდელი პუტინი სულ სხვა პიროვნებაა. ამ მოსაზრებას იზიარებს რუსეთის ექსპრემიერი (2000-2004 წ.წ.) მიხეილ კასიანოვიც.**

# მიხეილ კასიანოვი: „კვაზისსრკ-ის ფეტიში პუტინის რეჟიმს დაანგრევს - იმედია, მხოლოდ მას და არა რუსეთს“...



**„ნამდვილად ასეა: 2000-იანების დროინდელი და დღევანდელი პუტინი — ეს ორი სხვადასხვა პიროვნებაა. იმხანად მე მასთან ოთხი წლის განმავლობაში მომიწია მუშაობა და მკაფიო წარმოდგენა მაქვს იმაზე, როგორი იყო პუტინი 2000-იანებში. ბოლო წლებში კი ვხედავ სულ სხვა პიროვნებას — აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანს, რომლის მდგომარეობა, პირდაპირ გეტყვით, მაშინებს. ეს არის სსრკ-ის აღდგენის იდეა-ფიქსით შეპყრობილი მმართველი, რომელიც როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში სწორედ საბჭოთა სისტემის ელემენტების დაბრუნებას ცდილობს, საზოგადოების ტოტალური კონტროლის ჩათვლით“,** — აცხადებს ექსპრემიერი.

როგორც კასიანოვი აღნიშნავს, პირველი ხილული ნიშნები იმისა, რომ პუტინი იცვლებოდა, ჯერ კიდევ მათი თანამშრომლობის ბოლო პერიოდში, კერძოდ 2004 წელს გაჩნდა და სხვა საკითხებთან ერთად, „გაზპრომს“, ბელორუსსა და უკრაინას უკავშირდებოდა:

**„ჩვენს შორის გაჩნდა უთანხმოებები, რომელმაც რამდენჯერმე საჯარო ფორმაც მიიღო — ჩვენს წაკამათებას მინისტრთა კაბინეტის წევრებიც შეესწრნენ. საქმე ეხებოდა, მაგალითად, ე.წ. გაზის რეფორმას: პუტინმა, რომელიც მანამდე ჩემი გუნდის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს თითქოსდა მხარს უჭერდა, მოულოდნელად უარი განაცხადა „გაზპრომის“ გაყოფაზე მომპოვებელ და სატრანსპორტო შემადგენელ ნაწილებად. მაშინ გამოაშკარავდა მისი კატეგორიული არსურვილი, მეწარმოებინა მოლაპარაკებები უკრაინასთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან. პუტინი უკვე მაშინ თვლიდა უკრაინას „არშემდგარ სახელმწიფოდ“.**

როგორც კასიანოვი აღნიშნავს, იმხანად მას არ ესმოდა, რა დატვირთვა ჰქონდა პუტინისთვის უკრაინის საკითხს, დღეს კი იგი ამ კითხვაზე მკაფიო პასუხს მთელს მსოფლიოსთან ერთად ადევნებს თვალს:

**„ვხედავთ, რომ პუტინის მსოფლმხედველობა მეტისმეტად გაუკუღმართებული, რომ მისთვის პოსტსაბჭოთა ქვეყნები — ეს „რაღაც შეუმდგარი წარმონაქმნებია, რომლებიც მოსკოვის გავლენის ორბიტას უნდა დაუბრუნდნენ“. აი, ასეთი „დამბრუნებლისა“ თუ „შემგროვებლის“ დიადი მისია გამოუგონა პუტინმა საკუთარ თავს და ახლა ამ მიზნის მიღწევას ცდილობს, თუმცა რამდენად „დიდი წარმატებით“ — ყველა ვხედავთ. იგივე ყირიმის ანექსია, ყირიმი, როგორც ასეთი, პუტინისთვის ერთგვარ ფეტიშად იქცა და მიმდინარე ომის წამოწყების მიზანი უდავოდ, იმაში მდგომარეობდა, რომ ეიძულებინა უკრაინა, ხოლო შემდეგ მსოფლიოც, ყირიმი რუსეთის კუთვნილებად ეღიარებინათ — ანუ მიეღწია იმისთვის, რაც 8 წელი არ მომხდარა და ახლა უკვე ცხადია, რომ აღარასოდეს მოხდება. სწორედ ამ ფეტიშს შეეწირება პუტინის რეჟიმი — იმედია, მხოლოდ ის და არა მთელი რუსეთი“.**

რუსული საზოგადოების ნაწილის მიერ პუტინის საომარი კამპანიის დღემდე მხარდაჭერას ექსპრემიერი მრავალწლიანი, წლიდან წლამდე მზარდი სადეზინფორმაციო პროპაგანდით ხსნის, ხოლო მეორე ნაწილის დუმილს — შიშით. რაც შეეხება ბიზნეს-ელიტებს, როგორც კასიანოვი აღნიშნავს, მათი ის ნაწილი, რომელმაც უცხოეთში გაასწრო, არ დუმს, ხოლო ისინი, ვისი აქტივებიც ჯერ კიდევ რუსეთში რჩება, მათი დაკარგვის შიშით ჯერჯერობით ხმას ვერ იღებენ, **„თორემ მსხვილი ბიზნესმენების მიერ ამ საომარი კამპანიისა და ზოგადად პუტინის რეჟიმის პოლიტიკის გულწრფელი მხარდაჭერის შესახებ არავისგან სმენია“.**

კასიანოვი, რომელიც ფინანსთა მინისტრიც იყო და პრემიერიც, დარწმუნებულია, რომ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის გამო მოსკოვის მიმართ შემოღებულ დასავლურ სანქციებს საბოლოო ჯამში, დამანგრეველი ეფექტი ექნება — და არა მარტო ეკონომიკური, არამედ, როგორც შედეგი, შიდა სტაბილურობის რღვევის კუთხითაც:

**„უპირველესად, რასაც ვაკვირდები, პუტინი ამ მას-**



# ყველა იხდის ამ ომის საფასურს

## რუსეთიც, რომელსაც ენგრევა ეკონომიკა, უკრაინაც, რომელსაც ენგრევა ქვეყანა და დასავლეთიც, რომელსაც ძალიან დიდი ხარჯი აქვს

**— რუსეთს ნებისმიერ ვითარებაში დაკარგული აქვს სახე, მაგრამ ევროპელები ამას მაინცდამაინც ხაზს არ უსვამენ იმ იმედით, იქნებ, რუსეთი დათანხმდეს რაღაცას. რუსეთს საბოლოოდ მაინც მოუწევს დათმობა, მაგრამ ის შეეცდება, დათმობა მოხდეს მისგან წამოყენებული გარკვეული პირობებით,** — აცხადებს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის, ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი.

**— არა მხოლოდ მაკრონი, არამედ სხვა ევროპელი პოლიტიკოსებიც სთავაზობდნენ ზელენსკის დათმობაზე წასვლას პუტინის სახის შესანარჩუნებლად. ბუჩას, მარიუპოლის ტრაგედიების ფონზე რატომ უნდა შენარჩუნებოდა პუტინს სახე, იმისთვის, რომ მას კიდევ უფრო უარესი სახე არ გამოეჩინა და ბირთვულ ღილაკზე ხელი არ დაეჭირა? რატომ ცდილობენ ევროპელები იმ ადამიანის გაკეთილშობილებას, რომელიც ყველანაირად მოწადინებულია, აგრესორის როლი ბოლომდე შეასრულოს?**

— ვფიქრობ, თუკი პირველ ეტაპზე რაღაცას ცდილობდნენ ევროპელი პოლიტიკოსები, ეს იმიტომ, რომ ადრეულ სტადიაში არ უნდოდათ, სიტუაცია მისულიყო ამ დონეზე. მთლიანობაში, ევროპა და, საერთოდ, მსოფლიო ძალიან დიდ დანაკარგს განიცდის ამ ომის გამო. ისინი ფიქრობდნენ, იქნებ, რუსეთს შევთავაზოთ ისეთი მოდელი, მალე დაასრულოს ეს ომი, რომ მსოფლიოში კრიზისი რაღაცნაირად შეჩერდეს. თორემ შეიძლება, ისეთი სასურსათო და ეკონომიკური კრიზისი დაიწყოს მსოფლიოში, გაუსაძლისი პირობები შეიქმნას. ამიტომ ცდილობდნენ რუსეთის დაშოშმინებას, ახლა ცოტა შეიცვალა ვითარება, რუსეთის დამარცხება უნდათ, მაგრამ, ამავე დროს, ეშინიათ ბირთვული ომისაც. ამიტომ ეძებენ დიპლომატიურ გამოსავალს. რუსეთს ნებისმიერ ვითარებაში დაკარგული აქვს სახე, მაგრამ ევროპელები ამას მაინცდამაინც ხაზს არ უსვამენ იმ იმედით, იქნებ, რუსეთი დათანხმდეს რაღაცას. რუსეთს საბოლოოდ მაინც მოუწევს დათმობა, მაგრამ ის შეეცდება, დათმობა მოხდეს მისგან წამოყენებული გარკვეული პირობებით. ახლა უკრაინას ყველაზე მეტად აწყობს, რუსეთმა დათმოს უკრაინის პირობებით და მოაწეროს ხელი შეთანხმებას. ამ ყველაფრის საფასურს იხდის არა მარტო უკრაინა, არამედ დასავლეთიც, ყველა იხდის ამის საფასურს, რუსეთიც, რომელსაც ენგრევა ეკონომიკა, უკრაინაც, რომელსაც ენგრევა ქვეყანა და დასავლეთიც, რომელსაც ძალიან დიდი ხარჯი აქვს. საბოლოო ჯამში, ყველას სჭირდება მშვიდობა, მაგრამ გააჩნია, რა პირობებით. რუსეთი არ ნებდება, აგრძელებს თავის სამხედრო აქტივობებს იმის გამო, რომ უნდა, სწორედ მის პირობებზე მოხდეს შეთანხმება.

**— უკრაინის ომის პარალელურად, ყველაზე მეტად თვალშისაცემია თურქეთის აქტიურობა. ერდოღანი არ აპირებს ურთიერთობის გაწყვეტას არც პუტინთან, არც ზელენსკისთან. იმ ფონზე, როცა მთელი მსოფლიო ერთ პოზიციაზეა და ცივილიზებული სამყარო უარს ამბობს რუს დიქტატორთან ურთიერთობაზე, რის დამტკიცებას ცდილობს თურქეთის ლიდერი? ეს ორ კარში თამაშია, თუ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ერდოღანი მართლაც ჩამოაყალიბა მნიშვნელოვან შუამავლად რეგიონში?**

— ერდოღანი დიდი ხანია, ცდილობს, თურქეთი გადააქციოს რეგიონალურ მოთამაშედ, დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს და, თანაც, განახორციელოს ბალანსირების პოლიტიკა, ე.ი. გამოიყენოს თავისი ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან და შეძლოს საკუთარი ინტერესების რეალიზაციის განხორციელება მთლიანად რეგიონში. განსაკუთრებით, როგორც ისინი თვლიან, პანთურქისტული იდეების რეალიზაცია, რომელიც გულისხმობს თურქეთის ეგიდით, თურქეთის ლიდერობით ყველა თურქულენოვანი ქვეყნის შემოკრებას და მათზე გავლენის განხორციელებას. გარდა ამისა, კიდევ მეორე საკითხია ის, რომ თურქეთს ისლამურ სამყაროში უნდა მთლიანი ლიდერობა. ამიტომ ბოლომდე არ იზიარებს დასავლურ ფასეულობებს, ამიტომაც შეჩერდა ევროკავშირში თურქეთის ინტეგრაცია, ერდოღანს ურჩევნია, დამოუკიდებელი ლიდერი იყოს ისლამურ სამყაროში, ვიდრე ევროკავშირის წევრი გახდეს. ბოლო ხანებში ნატოს რიგ წევრებთან და, პირველ რიგში, აშშ-სთან გაუჩნდა გარკვეული დაძაბულობა, ამ დაძაბულობის დროს თურქეთი რაღაცნაირად იყენებს ბალანსის შესაძლებლობას, ანუ დასავლეთს აჩვენებს, რომ მიემხრობა რუსეთს, თუ არ დაუთმეს რაღაც-რაღაცები, რუსეთს კი აშინებს იმით, რომ ნატოს წევრია, ამიტომ რუსეთი მის წინააღმდეგ სამხედრო ძალას ვერ გამოიყენებს და, პრაქტიკულად, თურქეთზე გავლენას ვერ მოახდენს.

**— ფინეთსა და შვედეთში ეჭვობენ, რომ ერდოღანი ცდილობს, ნატოში ამ ორი ნეიტრალური სახელმწიფოს გაწევრების თემა კარგად „გამოწველოს“, რომ ფინეთ-შვედეთის საკითხით სარგებელი ნახოს ნატოსგან. რამდენად შეუქმნის თურქეთი პრობლემას ფინეთს და შვედეთს ნატოში გაწევრების გზაზე?**

— რა თქმა უნდა, ესეც არის. ჯერ ერთი, აქ თურქეთის ამბიციების ამბავია, შვედეთს გარკვეული სანქციები აქვს დაწესებული თურქეთთან მიმართებით, ფინეთი იღებს თურქეთიდან პოლიტიკურ დევნილებს, მარტო ქურთისტანის პარტიის წარმომადგენლები რად ღირს, ასევე, გიულენის წარმომადგენლებს, რომლებსაც დევნიან თურქეთში და ძალიან ბევრს უდანაშაულოდაც დევნიან. ეს დევნა სამართლებრივად ბოლომდე არ არის კორექტული. ეს თურქეთს არ მოსწონს, მინიმუმ, პრესტიჟის გამო, არა მარტო იმისთვის, რომ მაინცდამაინც იმ ქურთების და თურქების დაჭერა უნდა, მას სურს, აჩვენოს, რომ თურქეთს აქვს იმის ბერკეტები, სეპარატისტულ და ანტიერდოღანისეულ პოლიტიკურ მოძრაობებს ყველა მხრიდან რაღაცნაირად შეუზღუდოს შესაძლებლობები, მათ შორის, საერთაშორისო არენაზეც. ამით თურქეთი ზეწოლას ახორციელებს დასავლეთზე, კონკრეტულად, ფინეთსა და შვედეთზე, თუმცა ამავეს ცდილობს ამერიკასთან მიმართებით, მაგალითად, გიულენის გადაცემას სთხოვდა ამერიკას. ერდოღანი თვლის, რომ ფეთჰულა გიულენია იმ გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორი, რომელიც 2016 წელს მოხდა თურქეთში. კიდევ ბევრი სხვა საკითხია, რომელთა კაპიტალიზაციის მოხდენაც სურს თურქეთს.

**— ერდოღანის ასეთი სასტარტო პოზიცია ნიშნავს, რომ უკრაინის ომის შემდეგ თურქეთი დასუსტებული რუსეთის ფონზე კიდევ უფრო დაწინაურდება?**

— რა გითხრათ, ყოველ შემთხვევაში, თურქეთს აღებული აქვს ასეთი გეზი. თუ რუსეთი დასუსტდება, თურქეთის გავლენა შავი ზღვის რეგიონში გაიზრდება.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

**შტაბის სანქციებს ნამდვილად არ ელოდა. რა თქმა უნდა, დასავლურ სანქციებს გამანადგურებელი ეფექტი ექნება. ამ დროისთვის ეს უმთავრესად საფინანსო სისტემას ეხება, თუმცა რუსულ ეკონომიკაში პრობლემები უკვე მძლავრდება: სამრეწველო კავშირების წყვეტა და რუსული ბაზრიდან თითქმის ყველა მსხვილი უცხოური კომპანიის გასვლა — ეს უდიდესი დარტყმაა წარმოებისთვისაც და მთლიანობაში ეკონომიკისთვისაც, უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდის ჩათვლით. უკვე დღეს ვხედავთ რუბლის ხელოვნურ კურსს — არავითარი ვაჭრობები აღარ იმართება, ვხედავთ მხოლოდ საფინანსო სისტემის იმიტაციას, კურსის იმ ნიშნულზე შენარჩუნებას, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის შესასრულებლად სჭირდება. ეს სრული იზოლაციის ერთ-ერთი იმ შედეგთაგანია, რომელიც უკვე დღეს გვაქვს სახეზე. ხოლო თუ დასავლეთი რუსულ ნავთობზე ემბარგოს შემოიღებს, ეს რუსეთის ეკონომიკას საბოლოოდ გამოუთხრის ძირს: ქვეყანა ხომ სადღეისოდ დაახლოებით 1 მლრდ დოლარს იღებს ნავთობისა და გაზის გაყიდვაში — და აქ ბევრად მეტი წილი სწორედ ნავთობზე მოდის. ამდენად, თუ ემბარგო დაწესდება, ეს რუსეთის მთავრობას უმოკლეს ვადებში გამოაცლის ხელიდან შესაძლებლობებს, მეტ-ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა შეინარჩუნოს. მით უფრო, რომ წელს 20-22%-იანი ინფლაცია და მოსახლეობის შემოსავლების კიდევ 8%-ით შემცირებაა ნავარაუდები. ეს შემოსავლები ხომ ისედაც მიყოლებით მე-8 წელია, მცირდება, ჯამში უკვე შემცირებულია 25%-ით და ახლა კიდევ 8%-ით შემცირება რა მდგომარეობაში ჩააგდებს ხალხს — ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. სოფლად მცხოვრები დაბალშემოსავლიანი, უმთავრესად საკუთარ ბაღ-ბოსტნებზე დამოკიდებული ფენა ამას ალბათ, შედარებით ნაკლებად იგრძნობს, აი ქალაქში მცხოვრები საშუალო ფენა კი ძალიან მძიმე დარტყმას მიიღებს — მას მთლიანად მოუწევს ცხოვრების წირის კარდინალურად შეცვლა“.**

ამ ფონზე რუსეთის მოსახლეობაში მზარდი დისკომფორტის გათვალისწინებით, სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური კითხვა იმაში მდგომარეობს, რამდენად დიდხანს შეძლებს ამ ვითარებაში პუტინის რეჟიმი ქვეყანაში შიდა სტაბილურობის შენარჩუნებას? კასიანოვი ამ კუთხით სერიოზული პრობლემების დაწყებას სექტემბრიდან ელის:

**„სადღეისოდ მინისტრთა კაბინეტი ერთგვარ მოლოდინის რეჟიმშია: ძვრა არ აქვს არც ერთი, არც მეორე მიმართულებით. პირველი მიმართულება ომამდელ მდგომარეობაში დაბრუნებაა — რაც ცხადია, შეუძლებელია, სანამ ქვეყანას პუტინი მართავს. მეორე მიმართულება კი შემდგომი ნაბიჯებია რუსეთის კვაზი-საბჭოთა კავშირად გადასაქცევად. ამ მიმართულებით უკვე შეინიშნებოდა გარკვეული მზადება, შემოგდებული იყო „გოსპლანის“ ჩამოყალიბებისა და სხვა მსგავსი იდეები, მაგრამ რეალური გადაწყვეტილებები ამას ჯერ არ მოჰყოლია. მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მიერ ამ დრომდე გადადგმული ნაბიჯები კიდევ უფრო მეტ იზოლირებაზე იყო მიმართული. საზოგადოებისა და მსხვილი ბიზნესის (ფულადი ნაკადების ჩათვლით) ტოტალური კონტროლი ამ მიზნით უკვე მოქმედებს, შემდეგი ნაბიჯი კი იდეაში, „გოსპლანის“ შემოღება უნდა იყოს. თუმცა ჯერჯერობით ეს არ განხორციელებულა — ყველა რაღაცას ელის, ეგებ პრობლემები თავისით „გაიწოვოსო“. თუმცა ცხადია, თავისით აღარაფერი „გაიწოვება“ და ხალხი ამას სულ უფრო მეტად იგრძნობს. ვფიქრობ, სამომავლო პერსპექტივა უფრო ცხადად საშემოდგომოდ გამოიკვეთება: როცა საზაფხულოდ აგარაკებზე გასული ხალხი ქალაქებში დაბრუნდება და მაღაზიებში უკვე სულ სხვა — ხარისხობრივად განსხვავებული ფასები დახვდება, ეს, ბუნებრივია, შოკს გამოიწვევს, ამ შოკის შემდგომი სტადია კი იქნება მკაფიო პასუხების მოთხოვნა კითხვებზე, რომლებსაც სადღეისოდ კრემლის პროპაგანდა „მტრების ალყაში ყოფნის“ ცრუ ლოზუნგებით სცემს პასუხს. დღეს ეს სადეზინფორმაციო პროპაგანდა ჯერ კიდევ ჭრის, მაგრამ იმ დროისთვის უკვე აღარ იმუშავებს — და ხალხს რეალურ კითხვებზე რეალური პასუხები დასჭირდება, რაც ადამიანებს პუტინისა და მისი რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების გადახედვას აიძულებს“.**

ამავდროულად, კასიანოვის ხედვით, განგრძობადი ომისა და სანქციების ფონზე პუტინის რუსეთის პოტენციალი ყოველდღიურად შემცირდება, უკრაინისა კი, დასავლეთის დახმარებით — პირიქით.

**„ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე თვეში კიევს მოსკოვთან შედარებით, აშკარა უპირატესობა ექნება როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ უკრაინა გაიმარჯვებს, პუტინი კი მისი გაუკუღმართებული მსოფლმხედველობით, ფეტიშებითა და მახინჯი სისტემით დამარცხებულის როლში მოგვევლინება ჩვენც და რაც მთავარია, მის გარემოცვასაც — და დაიწყება ცვლილებები, უპირველესად — სწორედ პუტინის გარემოცვასა და ჯარში: ბევრი სამხედრო ელიტაში დღესაც აღარ უჭერს მხარს ამ კამპანიას — რომ აღარაფერი ვთქვათ მოტყუებულთა მონათხრობით აღშფოთებულ კონტრაქტორებზე, რომლებიც ომში წასვლაზე უარს აცხადებენ. ასე რომ, ვფიქრობ, სიტუაცია საკმაოდ სწრაფად დაიწყებს შეცვლას — იმაზე სწრაფად, ვიდრე ოდესმე შეგვეძლო, წარმოგვედგინა“,** — დასძენს ექსპრემიერი.

**„აქცენტი“**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

| | |
|---|---|
| 1. | მანქანათა დინამიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი სრული საშტატო ერთეული. |

### კონკურსის პირობები:

**უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

| | |
|---|---|
| ა) | განცხადება; |
| ბ) | პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; |
| გ) | ავტობიოგრაფია (CV); |
| დ) | დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; |
| ე) | გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| ვ) | ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს; |
| ზ) | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| თ) | სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; |
| ი) | პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი; |
| კ) | შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი). |
| | |
| | საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10. |
| | |
| | **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 17 ივნისი.** |
| | |
| | დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017 |

# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 17 მაისის №1-1/216 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვი“-ს რეკონსტრუქციის პროექტს, კერძოდ, გაორჯაჭვიანებასა და ახალი უჯრედების მოწყობას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის “შემადგენელ ნაწილს.

ზემოაღნიშნული პროექტის დანიშნულებაა ქ/ს “ქსანი 500“-ის თბილისის ქსელთან მიერთების დამატებითი წყაროთი უზრუნველყოფა, კერძოდ ქ/ს „ქსანი 500“-ის ქსელთან მიერთებისათვის მოხდება 220 კვ ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვი“-ს გაორჯაჭვიანება, რითიც გაიზრდება ქალაქ თბილისის ელექტროენერგიით მომარაგება, აგრეთვე, გაძლიერდება თბილისის გარშემო არსებული ქსელი.

პროექტის განხორციელება განაპირობა ელექტროენერგიის ყოველწლიურად მზარდმა მოხმარებამ და არსებული ინფრასტრუქტურით ელექტროენერგიით უსაფრთხო მომარაგების შეუძლებლობამ. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220კვ ეგხ “არაგვი”-ს რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შემდეგი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის აუცილებლობა:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძველ ქანდაში მდებარე შპს „ევრაზია თრეიდ კო“-ს (ს/ნ: 405260603) საკუთრებაში არსებული, 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №72.09.42.121) ნაწილის, კერძოდ, 66.00 კვ.მ-ის;
2. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანში მდებარე შპს „ნ.ი.ზ.+“-ის (ს/კ 202453594) საკუთრებაში არსებული 90000.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ №72.02.39.013) ნაწილის - 132.00 კვ.მ-ის;
3. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანში მდებარე, შპს „ბივილის“ (ს/კ 405274714) საკუთრებაში არსებული 39.00 კვ.მ. და 56.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთების სრულად (ს/კ 72.02.58.165; ს/კ №72.02.58.163);
4. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხრანში მდებარე, ნათელა ჭეიშვილის (პ/ნ 01009001206) საკუთრებაში არსებული 79999.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ №72.09.29.022) ნაწილის - 62.00 კვ.მ-ის.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, შპს „ალიგატორი“-ს შეფასების ანგარიშით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ ეგხ „არაგვი”-ს რეკონსტრუქციის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრეებთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2022 წლის 17 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/216 ბრძანება** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შემდეგ ქონებაზე:

**1.** მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძველ ქანდაში მდებარე შპს „ევრაზია თრეიდ კო“-ს (ს/ნ: 405260603) საკუთრებაში არსებული, 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №72.09.42.121)** ნაწილზე, კერძოდ, **66.00 კვ.მ-ზე;**

2. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანში მდებარე შპს „ნ.ი.ზ.+“-ის (ს/კ 202453594) საკუთრებაში არსებული 90000.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის **(ს/კ №72.02.39.013)** ნაწილზე - **132.00 კვ.მ-ზე;**

3. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანში მდებარე, შპს „ბივილის“ (ს/კ 405274714) საკუთრებაში არსებული **39.00 კვ.მ.** და **56.00 კვ.მ.** მიწის ნაკვეთებზე სრულად **(ს/კ №72.02.58.165; ს/კ №72.02.58.163);**

4. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხრანში მდებარე, ნათელა ჭეიშვილის (პ/ნ 01009001206) საკუთრებაში არსებული 79999.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის **(ს/კ №72.09.29.022)** ნაწილზე**- 62.00 კვ.მ-ზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.



ბონდო არველაძე – 90

# დიდი ილია მართლის გზაზე მავალი მკვლევარი

90 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ბონდო ვალერიანის ძე არველაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ბონდო!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ, ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან საქართველოს გულანთებულ მეცნიერს, დიდებულ შემოქმედსა და მეცნიერს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე შორეულ 1957 წელს გადადგით, როდესაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" გამოქვეყნდა თქვენი პირველი წერილები. მას შემდეგ თითქმის შვიდი ათეული წელი გასულა და შეიძლება, თამამად ითქვას, რომ სამშობლო ქვეყნის უებრო სამსახურში გატარებულმა ამ წლებმა თქვენ საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოგიტანათ.

თქვენი სახით ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს ჭეშმარიტი გულშემატკივარი, მასშტაბური მკვლევარი ჰყავს, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი ორი მოძმე, მეზობელი ხალხის კიდევ უფრო დაახლოებისა და კეთილმეზობლობის განმტკიცების საქმეში. თქვენი წერილები დიდი და ორიგინალური სომხური მწერლობის ისეთ კლასიკოსებზე, როგორნიც იყვნენ საიათნოვა, ავეტიკ ისააკიანი, ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი, ვაჰან ტერიანი, ეღიშე ჩარენცი და სხვები, ამ ჭეშმარიტების მშვენიერ დასტურს წარმოადგენს.

უფრო მეტიც, თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობაც თითქმის მთლიანად სომხური მწერლობის კვლევას ეძღვნება. ამ მხრივ, გამორჩეულად საგულისყუროდ გვესახება თქვენი, როგორც საკანდიდატო („ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან (ავეტიკ ისააკიანი, ვაჰან ტერიანი და ქართული ლიტერატურა" – 1966 წ.), ისე სადოქტორო („ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა XIX-XX ს.ს. (ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და ქართული საზოგადოებრიობა)" 1980 წ.). საყურადღებოა თქვენი ისეთი წიგნები, როგორიცაა „გაბრიელ სუნდუკიანი და საქართველო", „ეღიშე ჩარენცი და საქართველო", „ილია ჭავჭავაძე" (სომხურად), „საიათნოვა", „ლეონ მელიქსეთბეგი: ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა".

თქვენი სახით სომხურ მწერლობას, სომეხ ერს ერთგული და მოსიყვარულე გულშემატკივარი ჰყავს. თუმცა ეს უანგარო მეგობრობა თქვენ, დიდი ილია მართლის გზაზე მავალ ერისკაცს, ხელს არ გიშლით, სააშკარაოზე გამოიტანოთ და პირუთვნელად ამხილოთ ზოგიერთი თავგახურებული სომეხი ვაიმეცნიერის უბადრუკი მცდელობა საქართველოს ხარჯზე მათი ისტორიის გადაწერისა. ამ მტკივნეულ პრობლემატიკას ეძღვნება თქვენი ისტორიულ-პუბლიცისტური წიგნები „ქვანი კვლავ ღაღადებენ", „როცა უდავო სადავო ხდება", „სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში", „ქართული ეკლესიების მიტაცება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება", „დაშნაკებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ", „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში" (თ.მიბჩუანთან ერთად), „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში" (გამოიცა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), „სომხური გეოგრაფია", „როცა დუმილი ღალატის ტოლფასია", „ნაძალადევად ალაპარაკებული ქვები", „ქართული ტოპონიმია სომხეთში".

თქვენს კალამს ეკუთვნის ისეთი საყურადღებო წიგნები, როგორიცაა „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა", „იოსებ გრიშაშვილი", „მწერლის ბედისწერა" (გიორგი შატბერაშვილზე), – აკადემიკოსი ალექსანდრე ნადირაძე".

თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ნიკო ნიკოლაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ბატონო ბონდო!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენთვის აგრერიგად ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, მზეგრძელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ, რათა კვლავაც ასე უშურველად დაიხარჯოთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# მრავალჟამიერ!

## ელგუჯა ორჯონიკიძე – 85

23 მაისს ელგუჯა გიორგის ძე ორჯონიკიძის დაბადების დღეა.

ცნობილი მოთხილამურის, რომელსაც სპორტი არ მიუტოვებია და დღესაც ხანდაზმულობის მიუხედავად წარმატებით ასპარეზობს ვეტერანთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

ბატონი ელგუჯა გამორჩეული პიროვნებაა, როგორც ახლობლებში, ისე მეგობრებშიც. კარგი ოჯახის პატრონი, ღირსეული შვილების მამა და ბაბუაა. ბატონ ელგუჯას გამორჩეულად უყვარს ბორჯომის ხეობა და ბორჯომელები.



ძვირფასო ელგუჯა გიორგის ძევ! ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ.

**თენგიზ ქავთარაძე**

◎ ტატამზე

# ოსტატის, შეგირდის...

**ბიძინა მაზიაშვილისა და შოთა ხაბარელის სამშობლოში რა გამოლევს ძიუდოსათვის დაბადებულ მწვრთნელებს, ტატამის დიდოსტატებს რომ აფრთიანებენ და საამაყო თაობებს უზრდიან სპორტულ სამყაროს.**



**ლაშა გუჯეჯიანი** სახელოვან წინამორბედთა ღირსეული შთამომავალი გახლავთ, რომელმაც შარშან არნახული მოსავალი მოიმკა და ტოკიოს ოლიმპიადის ერთბაშად ოთხი მედალოსნით დაგვიბრუნდა. აღარაფერს ვამბობთ სხვა, შედარებით ლოკალურ წარმატებებზე.

ალბათ, ამიტომაც არ გაგვკვირვებია, რომ „ჯვაროსანთა" ახალგაზრდა თავკაცი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ამ დღეებში გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა.

არანაკლებ დაფასდა პერსპექტიული ჭაბუკის – **გიორგი სარდალაშვილის** მზარდი ოსტატობა, რომელიც „ამომავალი ვარსკვლავის" ნომინაციის ლაურეატი გახდა. შეგახსენებთ, რომ მან თანატოლთა შარშანდელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, შესაბამისად, „ვერცხლი" და „ოქრო" მოიხვეჭა. ვულოცავთ!

◎ კონტრაქტი

# ფული ჩვენი არსობისა...

**რასაკვირველია, 21 წლის ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიში" თითქმის უკვე განხორციელებული გადასვლა „სამალარიჩო" ამბავია, მაგრამ ქართველ, და არამარტო, გულშემატკივარს არანაკლებ აინტერესებს მომავალი ხმაურიანი ტრანსფერის კომერციული დეტალები, რაც აქამდე, გასაგები მიზეზების გამო, კონფიდენციალური გახლდათ.**

და აი, როგორც ყველაფერი ადრე თუ გვიან, ამ დღეებში სავარაუდო კონტრაქტის ფინანსური ნიუანსებიც გასაჯაროვდა.

კერძოდ, როგორც წარმოშობით ჩვენმა თანამემამულე საფეხბურთო აგენტმა **თემურ ღურწკაიამ** განაცხადა, 10-მილიონიანი გარიგებიდან იტალიელები 8 მილიონს ზაფხულშივე გადაიხდიან, ხოლო დანარჩენი 2 მილიონი ბონუსებით ანაზღაურდება.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოლაპარაკებებში მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილი სპორტული დირექტორი (იური სიომინის შეფასებით – სკაუტი) **ანდრეი ლოსიუკიც** მონაწილეობდა, რომელსაც საეჭვო რეპუტაცია „ამკობს", თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რკინიგზელთა კლუბში იგი **ვასილი კიკნაძის** მეურვეობით საქმიანობდა (თუ საქმოსნობდა?).

დავძენთ, რომ ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა აღნიშნული თანხიდან რაიმე სარგებელს ყაზანის „რუბინი", სადაც ხვიჩა ბოლოს თამაშობდა.



◎ ევროლიგა

# ნუ დაჭრი მხეცს!

**საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის მასპინძლობის პატივი სერბეთის დედაქალაქს ხვდა წილად, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის დასკვნითი რაუნდის მთავარი მატჩი სასტარტო დღესვე გაიმართა და იგი სავსებით საფუძვლიანად მოინათლა ნაადრევ ფინალად.**

საუბარია ელ კლასიკოზე, რომელიც ყველგან, მათ შორის ბელგრადშიც, შორს სცდება სპორტული მოვლენის ფარგლებს და რაღაც ზებუნებრივ სანახაობად იქცევა ხოლმე. ჰოდა, მეტი რაღა უნდა ინატროს ტრიბუნებზე შეკრებილმა თუნდაც ნეიტრალურმა ქომაგმა?

### „რეალი" - „ბარსელონა" 86:83

**(19:19, 15:26, 26:11, 26:27)**

დაჭრილ მხეცზე ლეგენდები გვსმენია. ლოგიკურადაც – ყველას კარგად მოეხსენება, როგორ აგრესიას აფრქვევს გამძვინვარებული ნადირი და ბრალი მისი, ვინც მისი საკბილო გახდება.

მიმდინარე სეზონში „სამეფო კლუბმა" მარადიულ მეტოქესთან პირველი – ესპანეთის სუპერთასზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ზედიზედ 5(!) ბრძოლა წააგო და ბალკანეთს კარგა გვარიანად თავმოყვარეობაშელახული ეწვია. გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ხომ გაგიგონიათ. ასე მოხდა ამჯერადაც – შეხვედრის პირველივე წუთზე კოჭი იღრძო უილიამსმა და „თეთრები" ძირითადი გამთამაშებლის გარეშე დარჩნენ. თუმცა, ქმედუნარიანი გახლავთ მეორე სიბრძნეც – ზოგი ჭირი მარგებელიაო. დიახ, პარტნიორის ტრავმის გამო პარკეტზე დიდი დროის გატარება მოუწია უბერებელ ლულს, რომელიც მოგვიანებით თამაშის ერთ-ერთ გმირად იქცა კოსიესთან, იაბუნაკესთან და პუარესთან ერთად.

ამასთანავე, კასტილიელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სავსებით შეესაბამება ჭეშმარიტებას აქსიომა – ვინც მესამე პერიოდს იგებს, საბოლოო წარმატებაც მას დარჩებაო. არადა დიდი შესვენების წინ პაბლო ლასოს გუნდმა მრისხანე ოპონენტს ერთი შეხედვით გადამწყვეტი უპირატესობით – 11 ქულით დაწინაურების საშუალება მისცა.

რაც შეეხება შარუნას იასიკიავიჩიუსის ვარსკვლავთკრებულს, მათგან მხოლოდ მიროტიჩმა და ნაწილობრივ – ლაპრევიტოლამ გაიბრწყინეს, რაც მიზნის მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა, თანაც საკვანძო ეპიზოდებში კატალონიელთა ახალგაზრდა არგენტინელმა ლიდერმა რამდენიმე გაუმართლებელი შეცდომა დაუშვა, რასაც ახალგამოჯანმრთელებული ჰიგინსის სათანადო კონდიციებიდან შორს ყოფნაც დაემატა.

### „ეფესი" - „ოლიმპიაკოსი" 77:74

დასკვნითი სამქულიანი ბოლო წამზე მიჩიჩმა ჩააგდო.

**მოამზადა გიორგი შოთაძემ**

# ლეონარდ მძინარიშვილი



გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი მათემატიკოსი, პედაგოგი და სპორტსმენი, ამერიკის ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ აღიარებული წლის ადამიანი (1997 წ.), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიისვ აკადემიკოსი **ლეონარდ მძინარიშვილი.**

ლეონარდ მძინარიშვილი დაიბადა 1938 წლის 4 იანვარს. 1945 წელს შევიდა და 1956 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 70-ე საშუალო სკოლა. 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

1968 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1980 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1964-1986 წ.წ. მუშაობდა თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობებზე.

1986-2007 წ.წ. იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე; — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის მიმართულების ხელმძღვანელი.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა ტოპოლოგია: ჩეხის ჰომოლოგიის თეორია, ჰომოლოგიის ალგებრა, ჰომოტოპიის თეორია, უწყვეტი ჰომოლოგია და კოჰომოლოგია, ფიბრაცია და კოჰომოლოგია, შეიპური თეორია.

ბატონი ლეონარდი წლების განმავლობაში სიცოცხლის ბოლომდე თავდადებით და ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მის სახელოვან ტრადიციებსა და ახალი თაობის პროფესიონალებად აღზრდას. იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს ავტორი, იყო სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებში და კონფერენციებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე მისი მონაწილეობა, იყო მრავალი საერთაშორისო გრანტის ხელმძღვანელი.

ბატონი ლეონარდი იყო გამოჩენილი ჩოგბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის როგორც წყვილთა, ისე ერთეულთა თანრიგში. თამაშობდა თბილისის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. იყო საქართველოს ორგზის ჩემპიონი (1960 და 1971 წ.წ.) და საკავშირო აკადემიადების ექვსგზის ჩემპიონი. ა. მეტრეველთან და თ. კაკულიასთან ერთად 1972 წელს მოიგო სსრ კავშირის თასი. გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სტუდენტთა შორის და შერეულ წყვილთა თანრიგში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეონარდ მძინარიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, დეპარტამენტის პროფესორი

## ლეონარდ მძინარიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლიერება გამოვხატოთ იმ დაწესებულება-ორგანიზაციების, კერძოდ, ჩვენი ხელისუფლებისა და პიროვნებათა მიმართ, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარება

## არმაზ სანებლიძის

გარდაცვალების გამო.

**არმაზ სანებლიძის შვილები და შვილიშვილები.**

---

მეუღლე ცისანა, შვილები თენგიზი, ნატალია და მედიკო, შვილიშვილები ლუკა, დავითი, ილია, ვიქტორია, ნიკო, სიძე ალექსადრე, რძალი ანა ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეუღლის, მამის და ბაბუის



## ბაადურ მოსიძის

გარდაცვალებას.

მისამართი: მთაწმინდის 15.

პანაშვიდი 23 V, 16 საათზე, გამოსვენება 24 V, 15 საათზე სამედიცინო ინსტიტუტის ეკლესიიდან.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე ქირურგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი

## ბაადურ მოსიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სასიქადულო მამულიშვილი, უბადლო ქირურგი

## ბაადურ მოსიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და სანათესაოს.

**ბიჭი აბდუშელიშვილი, რომიკო ანჯაფარიძე, ალეკო ბუკია, ლადო გიორგაძე, ვილი ელიგულაშვილი, გოჩა ინგოროყვა, კოტე მარდალეიშვილი, კოკა ნადარეიშვილი, შედან ნანიკაშვილი, გია ნიშნიანიძე, კოტე ყიფიანი, ტარიელ შავერდაშვილი, დათო შიმშილაშვილი, თამაზ ჩიხლაძე, ომარ ღიბრაძე, თემურ ჭყონია, თემურ ხუროძე, ნიკოლოზ შავდია, მერი ჯანგველაძე.**

---

ლანა კუპრაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება

## ბელა გაბელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლანა კუპრაშვილი, ანზორ ჭითანავა ვუსამძიმრებთ მეძმარიაშვილების ოჯახს ბატონ

## ლეოპოლდ მეძმარიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ლამარა თაქთაქიშვილი, ირაკლი კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

## ლეოპოლდ მეძმარიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დიდი მაესტროს, საქართველოს საამაყო შვილის

## ლექსო თორაძის

მოულოდნელი გარდაცვალების გამო. მინდა, სამძიმრის სიტყვები ვუთხრა მის შვილებს, დას ნინოს, ნათესავებს, მეგობრებსა და მთელ საქართველოს. გზა მშვიდობისა, კარგად მენახე...

მეგობართა სახელით **საბა ჭელიძე.**



---

# ვცდილობთ, დავემსგავსოთ კაცობასა და სამშობლოს სიყვარულში



## ვლადიმერ მუგასაშვილის გახსენება

ძნელია საუბარი მეგობარზე წარსულ დროში, განსაკუთრებით ისეთზე, როგორიც იყო **ვლადიმერ (ვოვა) მუგასაშვილი** (1949-1989), ადამიანზე, რომელიც გაჭირვებაში ყველასათვის ტალკვესი, გვერდში მდგომი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩვენი ურთიერთობა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები გავხდით. მას იმთავითვე ახასიათებდა ლიდერის თვისებები, აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო ფაკულტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციის წინამძღოლი და ბევრი ღონისძიების სულისჩამდგმელი.

ვლადიმერი გახლდათ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

იყო სრულყოფილი ქართველი კაცი. დატოვა მშვენიერი ოჯახი — მეუღლე, ქალბატონი ზიზი და ქალიშვილი მარეხი, სამწუხაროდ, შვილიშვილებს ვერ მოესწრო.

ყოველ 26 მაისს, დაბადების დღეს, როდესაც მის საფლავზე ვიკრიბებით, მეგობრები ვიხსენებთ ერთად გატარებულ ახალგაზრდულ წლებს, დღესაც ვცდილობთ, დავემსგავსოთ მას კაცობასა და სამშობლოს სიყვარულში, რომლის დამოუკიდებლობასაც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. გაჭირვების ჟამს თავს ხშირად ვუსვამთ კითხვას: როგორ მოიქცეოდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვოვა?

ბუნებრივია, ამ მოკლე წერილში სრულად ვერ გამოვხატავთ მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას და სიყვარულს. ნუგეშად მხოლოდ მისი გახსენება გვრჩება.

მეგობრების სახელით: **თეიმურაზ ბერიძე, რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი, ზეინაბ გოგრიჭიანი, ნინო ვარამაშვილი, დავით კბილაძე, ელგუჯა მეძვაბიშვილი, თინა ორკოშნელი, ლევან სამხარაძე, ნელი სესაძე, ავთანდილ სილაგაძე, ალეკო სიჭინავა, კობა სოხაძე, გივი ტიბუა, მერი ჩემია, ჯემალ ხუციშვილი, მიხეილ ჯიბუტი.**




# რა დააშავეს უცხოელმა ღვინის მოყვარულებმა?

## FORBS მკითხველს კახეთში მოგზაურობას ურჩევს

**გავლენიანი საერთაშორისო გამოცემა Forbs საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ სტატიას ავრცელებს. გამოცემის ჟურნალისტი ბრეანა ვილსონი კახეთის ტურისტულ პოტენციალს აღწერს.** Forbs-ის ჟურნალისტმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით იმოგზაურა.

**„თუ ღვინის მოყვარული ხართ და საქართველო თქვენს სამოგზაურო სიაში ჯერ კიდევ არ არის, გეტყვით რომ დაგიშავებიათ, მაგრამ საბედნიეროდ გვიანი არ არის აზრი შეიცვალოთ, რადგან ქართული ღვინო არის, იქნება და ყოველთვის მოგეცემათ დაგემოვნების შესაძლებლობა. მხოლოდ 2021 წელს საქართველომ 62 ქვეყანაში 107 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტირება შეძლო. ქართული ვაზის დაახლოებით 70% კახეთზე მოდის. ამ რეგიონში ყურძნის დაახლოებით 200 ჯიშია. მათ შორისაა: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ქისი. საქართველოს მეღვინეობის 8-ათასწლოვანი ისტორია აქვს. მაგრამ მხოლოდ ღვინო არ იზიდავს ხალხს კახეთში. რეგიონი გამოირჩევა უნიკალური ბუნებით, უძველესი ციხე-სიმაგრეებით, კოშკებით, ალპური ტბებითა და დამალული ჩანჩქერებით. კახეთში მსოფლიო კლასის სასტუმროებს იპოვით, აქ არ უნდა გამოტოვოთ კლასიკური მუსიკის ფესტივალი. ადგილობრივები ყველგან ძალიან მეგობრულები არიან. შეგიძლიათ, რამდენიმე დღე გაატაროთ მდიდარ, ულამაზეს ადგილებში“,** — წერს გამოცემის ჟურნალისტი. Forbs-ის სტატიაში აღწერილია სიღნაღი, წინანდალი, თელავი, სტატიის ავტორი მკითხველს ურჩევს თუ სად შეიძლება დარჩენა და ღვინის დაგემოვნება.

# გერმანელი ტურისტები ქვემო ქართლსა და კახეთში

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ITB Berlin-ის მმართველ პირებს, გერმანული ტურისტული კომპანიებისა და მედიის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ინფო-ტურის მონაწილეებმა ქვემო ქართლში ბოლნისი და ასურეთი დაათვალიერეს. ესტუმრნენ შვაბების ქუჩას, სადაც გერმანული დასახლება იყო.**

ტურის მონაწილეები ქვემო ქართლიდან კახეთში გაემგზავრნენ, სადაც ნეკრესი, ალავერდი, ყვარელი და სხვა ტურისტულად ცნობილი ადგილები დაათვალიერეს, გაეცნენ ადგილობრივი ღვინის დამზადების წესებს, დააგემოვნეს ღვინო. სპეციალურად სტუმრებისთვის გაიმართა კულინარიული მასტერკლასი.

**„საქართველოში პირველად ვარ, ძალიან მომეწონა ბუნება, მწვანე მდელოებიდან თოვლით დაფარული მთები მოჩანს, ძალიან მინდა მთებში ვიმოგზაურო, რადგან ახალგაზრდობაში მთამსვლელი ვიყავი. შევამჩნიე, რომ ისეთ დატვირთულ ქალაქში როგორიც თბილისია, ხალხი ძალიან მეგობრულია, ყველა ცდილობს, დაგეხმაროს. სანამ აქ ჩამოვიდოდი მითხრეს, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში და მე საქართველოში ვიზიტის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასეა“,** — ამბობს გერმანელი ჟურნალისტი მანფრედ რუთნერი. 2023 წელს საქართველო ბერლინის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება. ტურიზმის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენასთან თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ITB Berlin-ის გამოფენის დირექტორმა დევიდ რუცმა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მედეა ჯანიაშვილმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი.



# მთამსვლელებისა და ლაშქრობის მოყვარულებისთვის პროექტი HIGHLANDER-ი განხორციელდება

**პირველად საქართველოში მთამსვლელებისა და ლაშქრობის მოყვარულებისთვის პროექტი HIGHLANDER-ი განხორციელდება. 15 ქვეყანა, 30 განსხვავებული ლოკაცია და ათასობით მონაწილე - HIGHLANDEQ გრძელ დისტანციაზე ლაშქრობის გლობალური სერიის ღონისძიებებს წარმოადგენს, რომელშიც წელს, პირველად, საქართველოც ჩაერთვება და 25-27 აგვისტოს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტუმრებს სვანეთში, მესტიაში უმასპინძლებს.**



პროექტის მიზანია ლაშქრობის, როგორც ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რეგიონში ეკომეგობრული და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების გამართვის ხელშეწყობა. ღონისძიება ხორციელდება ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის ხელშეწყობით, პროექტ GQEsA-ს ფარგლებში. პროექტის პარტნიორები, აგრეთვე, არიან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია და სვანეთის ადგილის მართვის ორგანიზაცია.



# ზაჰესი და ორთაჭალჰესი დროებით შეჩერდებიან!

**კომპანია „ეპ ჯორჯია გენერაცია“ ზაჰესისა და ორთაჭალჰესის წყალსაცავებზე გეგმურ გარეცხვით სამუშაოებს აწარმოებს.** მათივე ცნობით, 21 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით, თბილისში მტკვრის დონე დაიწევს და ბუნებრივ ნიშნულს დაუბრუნდება.

**„გეგმური გარეცხვითი სამუშაოების მიზანია წყალსაცავების სასარგებლო მოცულობის შენარჩუნება. აღნიშნული სამუშაოები ყველა უსაფრთხო ნორმის დაცვით განხორციელდება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან“,** — განაცხადა „ეპ ჯორჯია გენერაციის“ დირექტორთა საბჭოს წევრმა ლევან საჩალელმა.

ამასთან, როგორც „ეპ ჯორჯია გენერაციაში“ აცხადებენ, სამი დღის განმავლობაში, გარეცხვითი სამუშაოების ფარგლებში, მოხდება წყალსაცავებზე დაგროვილი ნაგვის გატანა-გაწმენდა. სამუშაოების მიმდინარეობისას სამი დღის განმავლობაში გაჩერდება ზაჰესი და ორი დღის განმავლობაში ორთჭალჰესი.

# ტომ კრუზს საპატიო „ოქროს პალმის რტო“ გადაეცა



**ამერიკელ მსახიობსა და პროდიუსერს ტომ კრუზს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე საპატიო „ოქროს პალმის რტო“ გადაეცა. 59 წლის მსახიობს საპატიო ჯილდო ფესტივალის დირექტორმა პიერ ლესკირმა გადასცა.**

როგორც იუწყებიან, ტომ კრუზისთვის საპატიო „ოქროს პალმის რტოს“ გადაცემა ყველასთვის მოულოდნელი იყო, რადგან ფესტივალის ორგანიზატორებს, ტრადიციისამებრ, წინასწარ არ ჰქონდათ ეს ინფორმაცია გაჟღერებული. ჯილდოს მიღებამდე ტომ კრუზმა აუდიტორიისთვის მასტერკლასი ჩაატარა და მაყურებლის შეკითხვებს უპასუხა.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა ტომ კრუზის მონაწილეობით, ფილმ Top Gun: Maverick-ის ჩვენება. ტომ კრუზი კანის კინოფესტივალზე ბოლოს 30 წლის წინ იმყოფებოდა.

გასული წლების განმავლობაში საპატიო “ოქროს პალმის რტო“ კინემატოგრაფიაში გამორჩეული დამსახურებისთვის ჯოდი ფოსტერს, ჟანა მოროს, ჯეინ ფონდას, ჟან-პოლ ბელმონდოს, ბერნარდო ბერტოლუჩის, ალენ დელონს და სხვებს ერგოთ. საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე, კანის საიუბილეო 75-ე საერთაშორისო კინოფესტივალი 17 მაისს გაიხსნა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9036; ევრო - 3.0738
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6240;
100 რუბლი - 4.7604; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7113;
1000 სომხური დრამი - 6.3493.

**ამინდი 23 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე +26 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge